На основе данного подхода формируется трактовка региона Ф. Броделя, которую можно определить как этно-философской: регион является аналогом особого «мира» с присущим только ему менталитетом, образом мышления, традициями, мировоззрением и мироощущением. В эту концепцию чувства места *общность* «малой родины» рассматривается нами как **основа региональной идентичности**, как специфический «интегральный компонент» (В.В. Абашев) в процессе регионального литературного развития. Она переплетается и взаимодополняется с метарегиональной географией с точки зрения *локуса*, этнокультурной и исторической самобытности, исторически глубокой традицией территориального самосознания и региональной уникальностью. В контексте поисков территориальной и региональной идентичности закономерно обострилось внимание к «региональной литературной традиции как к источнику *территориального самосознания*. Ведь именно язык, словесное творчество – от простого именованности мест и этиологических мифов до романа – оставалось главным инструментом формирования и репрезентации образов пространства» (2). Язык – это менталитет, способ построения текста, локального или сверх текста, определение его ритма, его образной системы, – всего, что создает хронотоп, создает текст. Язык, мышление и культура взаимосвязаны настолько тесно, что практически составляют единое целое, состоящее из этих трех компонентов, ни один из которых не может функционировать и существовать без двух других. Все вместе они соотносятся с реальным миром, противостоят ему, зависят от него, отражают и одновременно формируют его (11, 39).

Таким образом, геопоэтика соединила картины мира, рожденные в рамках породившей её геополитики, с образами пространства в индивидуальном и коллективном творчестве, в том числе с образами, формирующимися в национальной культуре в результате освоения отдельных мест, регионов, разных пространств, включая виртуальные.

## **ლიტერატურა:**

1. Абашев В. В., Геопозитический взгляд на историю литературы Урала // Литература Урала: история и современность. Екатеринбург, 2006.
2. Абашев В. В., Какая древняя земля, какая дремучая история, какая неиссякаемая сила. Геопозитика как основа геополитики / Михаил Осоргин: Художник и журналист. Пермь: Мобиле, 2006.
3. Алаев Э. Б., Социально-экономическая география: Понятийно-терминологический словарь. М., 2002.
4. Бахтин М. М., Литературно-критические статьи / М.М. Бахтин, М.: Художественная литература, 1986.
5. Петр Вайль, Гений места, «Независимая газета», 1999.
6. Власова Е. Г., У истоков образа Урала, 2007.
7. Гачев Г. Д., Национальные образы мира: Космо-Психо-Логос. М.: Наука, 1995.
8. Роман Моя ойкумена. Путешествие в четыре стороны света, Журнал «Сибирские огни», №2, 2014.
9. Гаджиев А., Поэтика современной прозы. Баку, 1997.
10. Наумов Д. Н., Региональная идентичность как главный фактор формирования благоприятного бренда территории (на примере ХМАО – ЮГРЫ) // Современные проблемы науки и образования. 2012. № 5; URL: [www.science-education.ru/105-7151](http://www.science-education.ru/105-7151)
11. Пятаева Н. В., Лингвокультурология, Стерлитамак, 2008.
12. Ревзина О., Хронотоп в современном романе, 2008.
13. Федоров Р. Ю., Регион как социокультурное пространство: освоение, коммуникации, ценности. // Северный регион: наука, образование, культура. № 2, Сургут, 2007.
14. Электронный ресурс <http://www2.pravda.com.ua/ru/archive/2004/june/23/4.shtml>
15. Сид Игорь, [http://exlibris.ng.ru/2011-10-27/2\\_sid.html](http://exlibris.ng.ru/2011-10-27/2_sid.html)
16. Владимир Штоль, Международные отношения и искусство, [www.observer.materic.ru](http://www.observer.materic.ru)
17. Абашев В.В., Фирсова А. В., План местности: литература как путеводитель // Вестник Пермского университета. Российская и зарубежная филология. 2010.

### **ლიუდმილა ბევენარუ „პატარა სამშობლოს“ მოდელი რეგიონის გეოკულტურულ სივრცეში რეზიუმე**

სტატიაში განხილულია კულტურის ინტერესის ისტორიიდან გეოგრაფიაზე, დროიდან სივრცეზე გადატანა, რამაც მწერლებსა და მკვლევრებს შესაძლებლობა მისცა სხვადასხვაგვარად განმარტონ მხატვრული ნაწარმოებების სივრცის გეოპოლიტიკური დომინანტი. საკითხის ისტორიამ აჩვენა, რომ სივრცის, როგორც თვითგანვითარებადი აზრობრივი ავტონომიური სისტემის კვლევა უკვე XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ინტეგრაცია ჰუმანიტარული და არაჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში საშუალებას იძლევა მხატვრული ტექსტის ანალიზის დროს გამოვიყენოთ რეგიონალისტიკაში, გეოპოლიტიკასა და მხარეთმცოდნეობაში დამუშავებული მასალა.

**Lyudmila Bezhenaru**  
***Models of “Little Homeland” in Geocultural Space of the Region***  
**Summary**

The present article covers issues of culture’s changes of interests from the sphere of history to geography, from time to the space, that allowed writers and researchers to define the geopoetic dominant area of a literary text in a different way. History has shown that discussion of the space as a self-developing semantic autonomous system took place even in the early twentieth century. Integration into the field of humanitarian and non-humanitarian sciences gives us possibility to introduce the material, acquired from regional studies, geopoetics, and studies of local lore in literary text analysis.



ნონა ქომეთიანი  
(საქართველო)

„კულტური კომპლექსი“ და ირლანდიური ლიტერატურული  
აღორძინება

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დამდეგს ირლანდიაში გაიშალა ფართო მოძრაობა ეროვნული კულტურის ასაღორძინებლად. ეს მოძრაობა, რომელიც ირლანდიური ლიტერატურული აღორძინების სახელით არის ცნობილი, გამოიხატებოდა იმაში, რომ შეიქმნა სხვადასხვა ლიტერატურულ-მხატვრული, თეატრალური თუ სხვა საზოგადოებები და წრეები; გამოიცა ათობით და ასობით გაზეთი, ჟურნალი, წიგნი თუ ბროშურა; პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენცია შემოქმედებით აღმაფრენას და აღმავლობას განიცდიდა; დაიწყო მასობრივი მოძრაობა ირლანდიაში გელური ენის, როგორც კომუნიკაციის საშუალების აღსადგენად.

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს სრულიად სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებმა. ამ მოძრაობაში შეინიშნებოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები და სუსტი მხარეები, მაგრამ მთლიანობაში იგი ქვეყნის ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური პროცესების პარალელურად ვითარდებოდა. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ირლანდიის ისტორიული განვითარების თავისებურებანი, რამაც განაპირობა XIX საუკუნეში შექმნილი სიტუაცია და ეს მოძრაობა; ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტებს, რაც მემკვიდრეობად მიიღეს ირლანდიური ლიტერატურული აღორძინების მწერლებმა და რამაც განსაზღვრა მათი შემდგომი მოღვაწეობა.

ირლანდია მეტად მძიმე ისტორიული ბედის ქვეყანაა. მისი ტრაგედია მას შემდეგ დაიწყო, რაც იგი „ბრიტანეთის ლომის“ თათებში აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ XII საუკუნიდან მოყოლებული ირლანდიის ისტორია – ესაა ირლანდიელი ხალხის ბრძოლის ისტორია ინგლისელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში. ბრძოლა სამივე ფრონტზე საუკუნეების მანძილზე მეტად მძაფრი და დაძაბული იყო.

ირლანდიელთა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ უკვალოდ ვერ ჩაივლიდა. მიუხედავად თავგამოდებული ბრძოლებისა, ირლანდიამ ვერ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. პირიქით, 1801 წელს იგი გახდა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შემადგენელი ნაწილი. აქედან მოყოლებული, გამუდმებული კამათია იმის თაობაზე, თუ ვის ეკუთვნის ირლანდიის მიწა-წყალი. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ისახავდა მიზნად 1870 წელს დაწყებული მოძრაობა ცნობილი *კომრულის* სახელწოდებით.<sup>7</sup> მოძრაობას სათავეში ჩაუდგა დუბლინელი იურისტი ისააკ ბატი. როგორც სახელწოდება მიუთითებდა, ირლანდიას თვით უნდა მოეგვარებინა თავისი საშინაო საქმეები. ა. ბატი ირლანდიური პარტიის ბელადის პოსტზე შეცვალა ს. პარნელმა – პროტესტანტმა, შესანიშნავმა ორატორმა, რომელმაც მოკავშირედ გაიხადა გლადსტონი, ბრიტანე-

<sup>7</sup>Home Rule – სიტყვა-სიტყვით „თვითმმართველობა“, „ავტონომია“, მიზნად ისახავდა ირლანდიური პარლამენტისა და მმართველობის ეროვნული დაწესებულებების შექმნას ისე, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო ინგლისის ტახტისა და ინგლისის პარლამენტის უმაღლესი ძალაუფლება.

თის პრემიერ-მინისტრი. მაგრამ ვერც ამ კავშირმა და ვერც ჰომრულის მოძრაობამ ის ნაყოფი ვერ გამოიღო, რასაც ელოდა ირლანდიელი ხალხი.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი მომენტი, როგორცაა სარწმუნოების საკითხი. პროტესტანტულმა ინგლისმა, რა თქმა უნდა, გაილაშქრა ირლანდიული კათოლიციზმის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. XVII საუკუნის მიწურულიდან XVIII საუკუნის შუა ხანებამდე, კათოლიკურ შეთქმულებებთან ბრძოლის საბაბით ინგლისის მთავრობამ შემოიღო მთელი რიგი დამსჯელი კანონები, რომელთა მიხედვით ირლანდიელ კათოლიკებს, ე. ი. ირლანდიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, ერთმეოდათ პოლიტიკური და მნიშვნელოვანწილად სამოქალაქო უფლებები; დაწესებულ იქნა რელიგიური დისკრიმინაციის უხეში სისტემა. მაგრამ 1823 წელს დანიელ ო'კონელის მიერ ჩამოყალიბებულმა კათოლიკურმა ასოციაციამ, რომელიც მიზნად ისახავდა კათოლიკურ ემანსიპაციას, გარკვეული შედეგი გამოიღო – კათოლიკეებმა ადგილები მიიღეს პარლამენტში. ეს კი ნიშნავდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ კვლავ მოიპოვა აქტიური ხმის უფლება.

რაც შეეხება ეკონომიკის სფეროს, მისთვის თავიდანვე დამახასიათებელი გახლდათ ერთმხრივი, აგრარული მიმართულებით განვითარება, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის კოლონიური მდგომარეობით, ექსპლოატაციის ნახევრადფეოდალური ფორმების არსებობითა და მოსახლეობის მუდმივი შემცირებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ინტენსიურ ფორმას იღებს XIX საუკუნის შუახანებში. ქვეყნის ეკონომიკაზე გამანადგურებლად იმოქმედა 1845-50-იანი წლების შიმშილობამ, რამაც მილიონობით ადამიანს სამუდამოდ დაატოვებინა სამშობლო. დარჩენილთა დიდი ნაწილი კი სასიკვდილოდ იყო განწირული. 1841 წელს თანამედროვე ირლანდიის რესპუბლიკის საზღვრებში ცხოვრობდა 6,5 მილიონი ადამიანი. 40-იანი წლების „შიმშილობამ“ მილიონზე მეტი ადამიანი შეიწირა. ამ დროიდან იწყება გაძლიერებული ემიგრაცია (1900 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობა შემცირდა 3222 ათას კაცამდე), რამაც თავის მხრივ განაპირობა ირლანდიის სოფლის მეურნეობის ხასიათის შეცვლა. მიწათმფლობელები ყიდულობდნენ ან იკავებდნენ ემიგრანტების მიერ მიტოვებულ მიწა-წყალს და საძოვრებად აქცევდნენ მათ, რამაც თავის მხრივ ძლიერ გაამწვავა მიწის საკითხი. 1879 წელს პარლამენტის ხელშეწყობით მაიკლ დავითმა დაარსა ე. წ. „მიწის ლიგა“, რომელიც არენდატორებს რაზმავდა მიწათმფლობელების წინააღმდეგ.

ასეთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ატმოსფეროში ქვეყნის კულტურული მდგომარეობაც, რა თქმა უნდა, მეტად არასახარბიელო იყო. სწორედ ამ წლებში დაისახა მიზნად ბურჟუაზიული ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა კულტურ-ირლანდიური კულტურის აღორძინება. ირლანდიური ლიტერატურული აღორძინების მოძრაობის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა „კელტიციზმის“ მცნება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ანგლოსაქსური „უპირატესობის“ რასისტულ თეორიას დაუპირისპირდა კელტების „განსაკუთრებული ადგილისა“ და „განსაკუთრებული ღირსებების“ იდეა. კელტები ხომ ირლანდიაში უძველეს დროში დასახლდნენ და სწორედ მათ შთამომავლებს წარმოადგენდა ძირითადი მოსახლეობა.

გარდა ამისა, კელტიციზმის მცნება წარმოადგენდა ირლანდიელობის განსაზღვრის საფუძველს. საერთაშორისო ინტერესი კელტიციზმის მიმართ დიდი ხნის დაწყებული იყო. მაკფერსონის ოსიანურმა პოემებმა მას დასაბამი მისცა ჯერ კიდევ 1760 წელს.

„კელტური კომპლექსის“ უმნიშვნელოვანეს იდეას წარმოადგენდა მტკიცება იმის თაობაზე, რომ მიუხედავად მრავალრიცხოვანი დემოგრაფიული პერიპეტები-

სა (მთელი ტომების გადასახლება, ომები, კოლონიზაცია, ემიგრაცია თუ სხვა) კელტურმა რასამ შესძლო სუფთა სახით შეენარჩუნებინა თავისი მოღვაწეობა.

ირლანდიური მითოლოგიის, ხალხური ეპოსისა და ფოლკლორის მეტად მდიდარ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, ირლანდიური აღორძინების მოღვაწეობა შექმნეს „კელტური გმირული ლეგენდა“, რომელიც არც თუ ისე იშვიათად რასიზმის თავისებურ სახესხვაობად იქცეოდა. ინგლისელთა ეროვნულ კერპებს ისინი უპირისპირებდნენ „ნამდვილი კელტური სულის განსახიერებებს“ ძველი ირლანდიის მითოლოგიურ გმირებს – ქუსულისს, ფერდიადს, დედოფალ მახს და სხვ.

კელტიციზმი ირლანდიის წარსულს ეყრდნობოდა, თუმცა მისთვის უცხო არ იყო რეალურის და მოგონილის, მითოლოგიურისა თუ ისტორიული ფაქტების შერწყმა.

ბრიტანულ შოვინიზმს კელტიციზმები ენერგიულად ებრძოდნენ პრესაში, თეატრალურ ცხოვრებასა თუ სალექციო დარბაზებში. კელტიციზმები პროპაგანდას უწევდნენ „ირლანდიის გაფართოების“ თეორიას, რაც შესაძლებლად ეჩვენებოდათ გელური სალაპარაკო ენის აღდგენის, ირლანდიის ეროვნული კულტურის გავრცელების გზით. მაგრამ ირლანდიური ენის თითქმის სრული აღმოფხვრის პირობებში ირლანდიური აღორძინების მოღვაწეობი ამ პროპაგანდას თუ სხვა საქმეებს ინგლისურ ენაზე აწარმოებდნენ, უფრო სწორად ანგლო-ირლანდიურ დიალექტზე. ი, ამაში მდგომარეობს კელტიციზმის ერთ-ერთი პარადოქსი.

ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნის პირობებში კელტიციზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირლანდიელი ერის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოძრაობაში ჩაბმული იყო ბურჟუაზიული (განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიული) ინტელიგენცია. ძირეულ სოციალურ საყრდენს კი ამ დროს წარმოადგენდა ირლანდიელი გლეხი. მეტად გახმაურებული ნაშრომის „ირლანდიელი რასის ისტორია“ ავტორი შონ მაკ-მანუსი ირლანდიური აღორძინების მოძრაობასთან დაკავშირებით წერდა: „ეროვნული იდეალების შემნახველად იქცა სოფლის მოსახლეობა – მყარი, შეურყენელი, პატრიოტი, მამაცი, ტრადიციული გლეხების ნამდვილი ნაშიერი და ცოცხალი ნიმუში“ (1, 148). და როგორც მკვლევარი მ. გუტნერი შენიშნავს – სწორედ ამით აიხსნება „გლეხური თემატიკა“ იმ ირლანდიელ მწერლებში, რომლებიც ასე თუ ისე იყვნენ დაკავშირებულნი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან (2, 9).

მიუხედავად ყოველივე თქმულისა, უხეშ შეცდომას დავუშვებდით, თუკი შევეცდებოდით ირლანდიური ლიტერატურული აღორძინება ერთიან, მონოლითურ მოძრაობად წარმოგვედგინა. მასში არსებული სხვადასხვა მიმდინარეობა მწვავე ანტაგონიზმების მახვენებელი იყო ირლანდიურ საზოგადოებაში. არც ირლანდიური ლიტერატურული აღორძინების მოთავეთა განცხადებები კულტურის სფეროში „ერთიანი დინების“ არსებობის შესახებ არის ჩვენთვის დამაჯერებელი.

ირლანდიური ლიტერატურული აღორძინების მოძრაობაში წამყვანი გახლდათ ლიტერატურული და თეატრალური მიმდინარეობები, ამასთან ფართო მოძრაობა გაიშალა ირლანდიური ენის ასაღორძინებლად. სწორედ ამ სამი მიმართულებით მიმდინარეობდა ბრძოლა იმ ეპოქის ირლანდიაში. ამ ბრძოლის მიზანი იყო ინგლისური კულტურული ნიმუშებისა და შტამპების ამოძირკვა, საკუთრივ ირლანდიური ეროვნული ლიტერატურისა და დრამატურგიის, როგორც ეროვნული თვითშეგნების მნიშვნელოვანი ფაქტორების, შექმნა.

ამ სამ დინებას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ მოძრაობა ირლანდიური ენის აღსადგენად. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გარკვეულიყო თუ რა ენა უნდა დადებოდა საფუძვლად ირლანდიურ ლიტერატურულ აღორძინებას. საქმე ის გახლავთ, რომ ირლანდიაში ინგლისურ ენაზე მოღვაწე მწერლები მისდევდნენ ორ

ლიტერატურულ ტრადიციას. ირლანდიის ლიტერატურული მემკვიდრეობა ხომ ორ ენაზე იყო – ირლანდიურ და ინგლისურ ენებზე. ირლანდიური ანუ გელური მემკვიდრეობა თორმეტ საუკუნეს ითვლიდა და შეიცავდა ყველაფერს, დაწყებულს უძველესი საგებიდან, ზღაპრებიდან თუ პოემებიდან იმ ფოლკლორის ჩათვლით, რომელიც ჯერ კიდევ იყო ირლანდიის დასავლეთში. ინგლისური ან ანგლო-ირლანდიური მემკვიდრეობა მხოლოდ ორ საუკუნეს ითვლიდა და ხარისხობრივად გელურზე დაბლა იდგა. და მაინც, ირლანდიური ლიტერატურული აღორძინების მოღვაწეები, მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელიც კი, ცნობილი ირლანდიელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე უბ. იეიტსი ირლანდიურ ლიტერატურას ინგლისურ ენაზე ჰქმნიდნენ. ირლანდიის ლიტერატურული აღორძინება უნიკალურია XIX ს-ის ნაციონალურ ლიტერატურულ მოძრაობებს შორის იმით, რომ მწერლები ძირითადად ირჩევენ სხვა და არა თავიანთი ქვეყნის ტრადიციულ ენას.<sup>8</sup>

ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ ირლანდიელი მწერლების წინაშე რთული ლინგვისტური პრობლემა იდგა. ირლანდიის ტრადიციული გელური ენა 1880 წლისათვის, ფაქტობრივად, მკვდარი იყო. 1840-იანი წლების შიმშილობამ ალგავა პირისაგან მიწისა თითქმის მთელი გელურად მოლაპარაკე ირლანდია და ამდენად მისი ლიტერატურაც. თვითონ იეიტსმა არ იცოდა გელური ენა და მან სწორად შენიშნა – „გელური ჩემი ნაციონალური ენაა, მაგრამ ჩემი დედაენა არაა“. ჯენტლმენი არ ლაპარაკობს გელურად – ეს იყო ანგლო-ირლანდიური ცხოვრების ძირითადი წესი.

ამრიგად, თანამედროვე ფორმითაც კი გელური ენა უცნობი იყო ყველა იმათთვის, ვინც არ გაზრდილა გელურად მოლაპარაკე ოჯახში; ენის უფრო ძველი ფორმები კი, რომლებზეც შეიქმნა საუკეთესო ლიტერატურა – საოცრად რთული იყო. ასე რომ, ირლანდიელ მწერლებს უნდა გამოეყენებინათ ინგლისური ენა, მაგრამ უძველესი ირლანდიის მითოლოგიისა და ლეგენდების, ამასთან, მათი თანამედროვე ირლანდიის ფოლკლორისა და ისტორიის შესწავლის გზით ეპოვათ საკუთარი სტილი და თხრობის საგანი.

თავისი იდეოლოგიური და ესთეტიკური პრინციპების შემუშავებაში, ამასთან, ამ საკითხის უკეთესად გარკვევაში იეიტსს დიდად დაეხმარა ქ. ო'ლიერი, ჟურნალისტი და რევოლუციონერი, რომელმაც თანამოაზრე ირლანდიელი მწერლებისაგან იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ლიტერატურული ჯგუფიც კი ჩამოაყალიბა. ო'ლიერის აზრით, ირლანდიური ლიტერატურა ინგლისურ ენაზე ვერ განვითარდებოდა, თუ ირლანდიელი მწერლები არ დაინტერესდებოდნენ ირლანდიური ეროვნული საკითხით. ირლანდიური ლიტერატურა უნდა ყოფილიყო ნაციონალური, მაგრამ არა პროპაგანდის მეშვეობით, არამედ ნამდვილი ირლანდიური ლიტერატურის შექმნით, რომელიც სულიერად მოამზადებდა ქვეყანას მომავალი პოლიტიკური თავისუფლებისათვის.

ისტორიკოსებს დავა აქვთ იმის თაობაზე, თუ როდის დაიწყო ირლანდიური

---

<sup>8</sup> ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, თუ როგორ განსაზღვრავს მკვლევარი რიჩარდ ფალისი ირლანდიურ ლიტერატურას: „ირლანდიური ლიტერატურა, დაწერილი ირლანდიური წარმოშობის პიროვნების მიერ, ან იმ პირის მიერ, რომელიც სხვაგან დაიბადა, მაგრამ ირლანდიაში ცხოვრობს, აიგივებს თავს ირლანდიასთან და წერს იმგვარად, რომ განსაკუთრებულ აზრს იძენს ირლანდიურ კონტექსტში. ასეთი განმარტება საშუალებას აძლევს რ. ფალისს ირლანდიელ მწერლად აღიაროს ჯეიმს ჯოისი, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი ირლანდიის გარეთ გაატარა, ან კიდევ მერი ლავინი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა. ამასთან, ირლანდიელი მწერლების სიის მიღმა ტოვებს ბერნარდ შოუსა და ოსკარ უაილდს – დუბლინელ მწერლებს, რომელთა ნაწარმოებები ირლანდიური ლიტერატურის პერიფერიულ ნიმუშებად მიაჩნია (R. Fallis. *The Irish Renaissance*. N. Y. 1977).

ლიტერატურული აღორძინება. ზოგის აზრით, იგი დაიწყო 1842 წელს, როცა ეროვნული მოძრაობის პირველმა დიდმა იდეოლოგმა და მწერალმა თომას დევისმა დუბლინში დაიწყო გაზეთის „Nation“ გამოცემა. მასში დევისი და სხვა ახალგაზრდა მწერლები და მოაზროვნები, ჯგუფის „ახალგაზრდა ირლანდია“ წევრები, პირველად აღაპარაკდნენ ირლანდიურ ლიტერატურაზე, რომელიც იქნებოდა ინგლისურ ენაზე, იქნებოდა „ხალხური“, ნაციონალური, აჩვენებდა ირლანდიის ცხოვრებას...

სხვები ირლანდიის ლიტერატურული აღორძინების დაწყების თარიღად ასახელებენ 1878 წელს, როდესაც სტენდიშ ო'გრეიდიმ გამოაქვეყნა „ირლანდიის ისტორია: გმირული პერიოდი“, წიგნი რომელმაც აღაფრთოვანა ირლანდიელი მწერლები. ო'გრეიდის „ისტორია“ ტრადიციულად გაგებულ ისტორიას არ წარმოადგენს. უფრო სწორად, ესაა ძველი ირლანდიური საგების მხატვრული გადაკეთება. როგორც მოგვიანებით კრიტიკოსი ნ.ჯ. ო'კონორი წერდა: „ო'გრეიდის უდიდესი მიღწევა იყო ის, რომ მან ძირითადი ძველირლანდიური ტექსტების ნაკლებად გასაგები, აბდაუბდა, დაუკავშირებელი მოთხრობებისაგან შექმნა გამართული ისტორიული თხრობა, რომელსაც დასაწყისიც აქვს, შუაგულიც და დასასრულიც“ (3, 121). წიგნში გადმოცემულია ირლანდიის ლეგენდები, კერძოდ, თხრობა დაკავშირებულია გმირ ქუხულინთან, რომლის სახე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ირლანდიური თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. გასაკვირი არაა ის უდიდესი გავლენა, რაც ქუხულინის ეპიკური ციკლის მეორედ დაბადებამ იქონია. ღრმა ეროვნული დამცირების, ეკონომიკური და კულტურული დეგრადაციის მომენტში, როდესაც ასიმილაციის საშიშროება სულ უფრო რეალური ხდება, უცბად წარმოდგება დიდებული ეპოსი, რომელიც ამადლებულად მოგვითხრობს გმირულ წარსულზე, დიდებულ და თავისუფალ ხალხს რომ შეეფერება. ეპოსი თითქოსდა ამტკიცებდა ირლანდიელი ხალხის ისტორიულ უფლებას დამოუკიდებლობაზე, თვალსაჩინოს ხდიდა ინგლისელები-სათვის განვითარებული ირლანდიური კულტურის არსებობას.

ინგლისელი მკვლევარი რიჩარდ ფალისი ირლანდიური ლიტერატურული აღორძინების დაწყების თარიღად მიიჩნევს 1888 წელს, როცა ო'ლიერის წრემ გამოცა პატარა ანთოლოგია „ახალგაზრდა ირლანდიის პოემები და ბალადები“. წიგნის სათაურს ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი მკითხველისათვის. „ახალგაზრდა“, ერთ მხრივ, მიუთითებს მისი შემდგენლების ახალგაზრდულ ასაკს, მეორე მხრივ, მოგვაგონებს ახალგაზრდა ირლანდიის მოძრაობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 40 წლის წინათ და რომელიც მოითხოვდა, რომ ირლანდიური პოეზია ეროვნული ინტერესების სამსახურში ყოფილიყო.

ო'ლიერის წრის წევრები, როგორებიცაა არიან უ.ბ.იეიტსი, დ. ჰაიდი, ჯ. რასელი და სხვები თავიანთ თავს მათ მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ, მაგრამ ბევრი რამ ახალიც შეიძინეს: ოსტატობა პატრიოტულ შემართებაზე მაღლა დააყენეს; პოეზიის საგნად პოლიტიკური საკითხების ნაცვლად აირჩიეს ირლანდიის ისტორია და ფოლკლორი; ირლანდიური ეროვნული მოძრაობა უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე რომელიმე დოგმისა ან პოლიტიკური პარტიისადმი ერთგულება.

ამრიგად, ირლანდიური ლიტერატურული აღორძინება მოამზადეს ირლანდიური კულტურის იმ მოღვაწეებმა, რომლებიც იღწვოდნენ, რათა აღედგინათ ძველი კულტური ლიტერატურული ტრადიცია, სინათლეზე გამოეტანათ ხალხური კულტურის უძველესი ძეგლები. ასეთ შრომას შედეგად მოჰყვა ინტერესის ზრდა ეროვნული წარსულისადმი. ლიტერატორთა და დრამატურგთა ახალმა პლედამ თავის შემოქმედებაში აღადგინეს თითქმის დაკარგული კავშირი ირლანდიელი ხალხის ლიტერატურული მსოფლმხედველობის სათავეებთან.

### **ლიტერატურა:**

1. McManus. The Story of the Irish Race. N.Y. 1921.
2. Гутнер М., Вступление к книге «Джон Синг, Драммы». Ленинград, 1937.
3. O'Connor N. J. Changing Ireland: Literary Background of the Irish Free State. 1899-1922. Cambridge 1924.

### **Nona Kometiani** ***"Celtic Complex" and the Irish Literary Revival*** **Summary**

Irish literary revival (the late 19th and early 20th century) was founded by such figures of Irish culture as W.B. Yeats, J. O'Leary, S. O'Grady, D. Hyde, and others. They sought to restore Celtic literary tradition and popularize the ancient monuments of national culture. The result of their work was the increased interest in the national past. Works of a new galaxy of writers and playwrights restored an almost completely lost link with the origins of the literary outlook of the Irish people.

### **Нона Коветиани** ***«Кельтский комплекс» и ирландское литературное возрождение*** **Резюме**

Ирландское литературное возрождение (вторая пол. XIX – нач. XX в.) подготовили такие деятели ирландской культуры, как У. Б. Йейтс, Дж. О'Лири, С. О'Грейди, Д. Хайд и др. Они стремились восстановить кельтскую литературную традицию, популяризировать древние памятники национальной культуры. Результатом их работы стал возросший интерес к национальному прошлому. Творчество новой плеяды литераторов и драматургов восстановило почти полностью утраченную связь с истоками литературного мировоззрения ирландского народа.

ლანა ნადარეიშვილი  
(საქართველო)

ისტორიოგრაფიული მეტარომანის ძირითადი მარკირები  
(ქრისტიანული რანსომანის „უკანასკნელი სამყარო“)

როგორც ცნობილია, ისტორიოგრაფიული მეტარომანი აერთიანებს, ერთი მხრივ, მოდერნიზმისგან მექვიდრეობით მიღებულ პაროდიულ თვითრეფლექსიას და, მეორე მხრივ, XIX საუკუნის ისტორიული რომანის ტრადიციებს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებულ და აწყობილ სიუჟეტს, მკვეთრად გამოხატულ პერსონაჟებსა და კლასიკური რეალიზმისთვის დამახასიათებელ თხრობის ტექნიკას. პროფესორი სუსანა ონეგა თვლის, რომ ისტორიოგრაფიული მეტარომანის საწყისებს „მაგიურ რეალიზმამდე“ მარკესისა და ბორხესის ნაწარმოებებთან მივყავართ. სამეცნიერო წრეებში ერთ-ერთ პირველ ისტორიოგრაფულ მეტარომანად აღიარებულია მარკესისის „მარტოობის ასი წელი“ (1967); რომანი, რომელშიც რაციონალიზმსა და რეალიზმზე მადლა დგას ფანტაზია, გამონაგონი, მითოლოგია (3, 59).

ისტორიოგრაფიული მეტარომანი, პირველ რიგში, თამაშობს ისტორიული ფაქტის უტყუარობასა და სიცრუეზე; მასში ავტორი ხშირად მიმართავს ფალსიფიცირებას. ისტორიოგრაფიული მეტარომანის ერთ-ერთი საკვანძო სიტყვა - *გაყალბება*, რაც მიზნად ისახავს ისტორიის შესახებ არსებულ წარმოდგენაში ეჭვის შეტანას. როგორც ცნობილია, ისტორიული რომანი ძირითადად ტექსტუალურ მტკიცებულებებს მიმართავს, რათა დამაჯერებლობა, ნამდვილობა შესძინოს რომანის სამყაროს. მისგან განსხვავებით, ისტორიოგრაფიული მეტარომანი მსგავსი მტკიცებულებების ასიმილირებას განზრახ არ მიმართავს; ისინი არ არიან ჩაქსოვილნი, განზავებულნი საერთო თხრობაში. ავტორი მათ მონტაჟის ხერხით სვამს ტექსტში - საბუთების, დღიურიდან მოტანილი ნაწყვეტების, წერილების, ძველი გაზეთების ამონაჭრების სახით - რაც არღვევს თხრობის პროცესს და ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მკითხველი ისტორიული დეტალების შეგროვების მოწმე ხდება.

ისტორიოგრაფიული მეტარომანში ისტორიული ფაქტი იძენს ახალ ინტერპრეტირებას; მოვლენა, რომელსაც ისტორიაში არ ჰქონია ადგილი (რადგან არ შენარჩუნდა სათანადო წერილობითი მტკიცებულებები, წყაროები) არსებობის უფლებას მოიპოვებს. მწერალი, რომელიც ისტორიოგრაფიული მეტარომანის ჟანრს მიმართავს, სარგებლობს ლიტერატურის შესაძლებლობით, წარმოაჩინოს ისეთი „სიმართლევები“, რომლებიც ტრადიციულ ისტორიას „გამოეპარა“. საგულისხმოა, რომ ინგლისელი მწერალი ჩარლზ პელიხერი შეკითხვაზე, თუ რატომ წერს, პასუხობდა, რომ არა „იმისათვის, რომ საკუთარ თავს მოვუყვე ისტორიები, რომლებიც გარე სამყაროს აზრს სძენენ... ან იმისათვის, რომ მოვძებნო ის ერთადერთი დიდი ისტორია, რომელიც ყველაფერს ახსნას მოუძებნის და მოხსნის დაპირისპირებებს“, არამედ „...იმისათვის, რომ გამოვიგონო ისტორია, რომელშიც შევძლებ დამაღვას ჩემი ეპოქის მოწყენილობისა და საშინელებისგან“ (2, 16). იმავეს იმეორებს აკროიდი: „რატომ არ წერთ თქვენს დროზე? რატომ გაუბრძობართ მას? იმიტომ ხომ არა, რომ საკუთარ თავს გაუბრძობართ“ (5, 393). მართლაც, წარსულის „გამოცოცხლების“ გარდა, ისტორიოგრაფულ მეტარომანს კიდევ ერთი მიზანი აქვს - საკუთარი „მე“-ს პოვნის მცდელობა, წარსულის მეშვეობით თვითიდენტიფიცირება; ფრაგმენტირებული შეგნების მქონე პერსონაჟები ცდილობენ საკუთარი ფესვების მოძიებას, რათა ჩაეწერონ ისტორიის კონტექსტში; ამდენად თავი დაიმკვიდრონ აწმყოშიც. ლინდა ჰატჩეონი მიუთითებს, რომ მისი კოლეგა - ფრედერიკ ჯეიმისონი ისტორიისა და ისტორიული რომანის კრიზისთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციიდან გამო-

სავალს მათი ტრადიციული სტრუქტურის რეორგანიზებაში ხედავს. მისი აზრით, საჭიროა არა სინამდვილის ასახვა, არამედ ისტორიის/ლიტერატურის კონცეფციის შექმნა (1, 112). მართალია, ისტორიოგრაფულ მეტარომაანს ჯერაც არ შეუქმნია ასეთი კონცეფცია, მაგრამ ჟანრის ნიშნეული ტრადიციების შენარჩუნებით შეძლო კლასიკური ისტორიული რომანის კანონის შეცვალა.

ისტორიოგრაფიული მეტარომაანის მარკერებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფდით ოპოზიციურ წყვილებს - *რეალობა/გამონაგონი; ისტორია/ისტორიები*. პოსტმოდერნიზმის პირობებში წარსულის სიცრუისა და რეალობის ურთიერთმიმართების, ისტორიისადმი და წარსულისადმი დამოკიდებულების პრობლემაზე არაერთმა თეორეტიკოსმა გამოთქვა თავისი შეხედულება. როგორც ტ. დ'ანი აღნიშნავს, ისტორია დაიშალა მიკროისტორიებად, ადგილობრივი/ლოკალური ხასიათის ისტორიებად, რომლებსაც დროითი თვალსაზრისით ფრაგმენტულობა, „წყვეტილობა“ ახასიათებთ და რეფერენტის გარეშე მათი ინტერპრეტირებაც კი შეუძლებელია (3, 262). თავის მხრივ, ლიოტარიც აღნიშნავს, რომ ჩვენ „დიდებული ისტორიების“ დანაწილების, დაქუცმაცების და უამრავ მარტივ, მცირე ზომის, ლოკალურ „ისტორია-მონათხრობების“ დაბადების მოწმენი გავხდით (6, 213). ეს პრობლემები იმ ფაქტის გაცნობიერების გამო ჩნდება, რომ წარსული თანამედროვე ადამიანისთვის მისაწვდომია მხოლოდ ტექსტების სახით. წარსული ეწინააღმდეგება შემეცნებას და თავდაჯერებულობის გრძნობას უქარწყლებს როგორც თხრობის სუბიექტს, ასევე მკითხველს.

რეალობა და გამონაგონი არსებობს ნებისმიერ ისტორიულ რომანში; მეტიც - ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებში, მაგრამ ისტორიოგრაფიულ მეტარომაანში ისინი, ჯერ ერთი, ძნელად გასარჩევნი ხდებიან, და მეორეც, ავტორის მიერ გამონაგონი წინასწარგანზრახულად არის აქცენტირებული. ლ. ჰატჩენი აღნიშნავს, რომ *სიმართლისა და გამონაგონის* ცნებები საერთოდ მიუღებელია ლიტერატურისთვის და პოსტმოდერნისტული რომანები... ღიად აცხადებენ, რომ არსებობს მხოლოდ „სიმართლები“ (1, 109). ამდენად პრობლემა - *რეალობა/გამონაგონი; ისტორია/ისტორიები* - ნაწარმოებში ინაცვლებს; თავად პერსონაჟები ცდილობენ ფაქტის გარჩევას ნაყალბევისგან, რაც მათ იშვიათად გამოსდით. ამის მიუხედავად, აშკარა გამონაგონიც არ უშლის მკითხველს, რომ უთანაგრძნოს გმირებს და ინტერესით ჩაერთოს ავტორის მიერ შემოთავაზებულ თამაშში.

ისტორიოგრაფიულ მეტარომაანში ხშირად გამოიყენება *„დროსთან თამაშის“* ხერხი, ანუ ავტორი არა მხოლოდ აზრობრივ დონეზე მიუთითებს კავშირზე წარსულსა და აწმყოს შორის, არამედ ახდენს დროითი ფენების „აღრევას“, მათ განურჩევლობამდეც კი. სწორედ აღნიშნულ ხერხს მიმართავს ქრისტოფ რანსმაირი რომანში „უკანასკნელი სამყარო“ („Die letzte Welt“, 1988), რომელშიც წარმოდგენილია ევროპული ცივილიზაციის მთელი ისტორია - ბერძნული მითებიდან დამდეგ აპოკალიფსამდე. რომანის პირველივე გვერდებიდან მკითხველს უჭირს განსაზღვრა, თუ როდის, რომელ ეპოქაში იშლება მოქმედება. ლოგიკურად, მოქმედება უნდა ვითარდებოდეს ანტიკურ ეპოქაში, ძველ რომსა და ტომეში, რადგან მოქმედ პერსონაჟებად გვევლინებიან ათენტიკური პირები; კერძოდ, იმპერატორები ავგუსტუსი და ტიბერიუსი. იმავდროულად, რომანის პირველსავე გვერდებზე მონიშნულია თანამედროვეობის მარკერები: მაგ., ავტობუსის გაჩერება, თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობები, ქუჩებისა და ქალაქების თანამედროვე დასახელებები. შევნიშნავთ, რომ რანსმაირი არც აწმყოს არქაიზირებას ახდენს და არც წარსულს ათანამედროვეებს; იგი ქმნის უდროობის, ზედროვეობის შეგრძნებას. ავტორი არ ახვევს თავს მკითხველს თანამედროვეობის ან სხვა ეპოქების დეტალებს; ხშირ შემ-



თხვევაში, ისინი მკითხველისთვის შეუმჩნეველად, ზედმეტი აქცენტირების გარეშე შემოაქვს; მაგ., ქალაქ ტომეში (ეხლანდელი კონსტანცა, რუმინეთში), გაჩერებაზე კოტა კითხულობს ავტობუსების განრიგს; ოვიდიუსი სტადიონზე გამოდის მიკროფონების თაიგულის წინ და ა.შ. რომისგან განსხვავებით, ტომეში ფანტაზია და ირაციონალურობა სუფევს; ამიტომაც აქაურ სიტუაციას ადვილად მოერგნენ *იაზონი* - კონტრაბანდისტი, რომელსაც გემ „არგოთი“ არალეგალი ემიგრანტები გადაჰყავს და გერმანელი *თიზი* (თჰის)<sup>9</sup> - მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, რომელსაც ღამ-ღამობით გაზის კამერაში მომაკვდავი ადამიანები ესიზმრება. მუდმივი გარდაქმნები არა მხოლოდ ამ ქალაქის მკვიდრთ ახასიათებთ, არამედ დროებსაც, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით არიან განფენილნი და ზოგჯერ ერთმანეთს გადაკვეთენ. საბოლოოდ, ტომეს რეალობა ოვიდიუსის გამონაგონი აღმოჩნდება; მწერლის ფანტაზია ათავისუფლებს სამყაროს ადამიანებისა და მათ მიერ დაღვენილი წესებისგან. „მეტამორფოზების“ გამონაგონი სამყარო ერთადერთი რეალობა აღმოჩნდება, რომელიც საჭიროებს ადამიანთა ცრუ რაციონალური ძალაუფლებისაგან გათავისუფლებას.

ვალტერ სკოტიდან დაწყებული, ისტორიული რომანის ავტორები გულმოდგინედ აგროვებდნენ ისტორიულ მტკიცებულებებს, იკვლევდნენ იმ პერიოდს, რომელზეც წერდნენ. მაგრამ ისტორიოგრაფიული რომანის ავტორის დადანაშაულება ეპოქის არცოდნაში და არაკომპეტენტურობაში არ შეიძლება. ჩვენ არ გავგაჩნია დაზუსტებული ცოდნა ანტიკური სამყაროს შესახებ; მტკიცებულებათა უმეტესობა სამუდამოდ დაკარგულია. დარჩა უამრავი გამოცანა, რაც ავტორს აძლევს საშუალებას, პასუხები მხოლოდ საკუთარი წარმოდგენების დახმარებით მოძებნოს, რადგან ის ისტორიული საბუთებით არაა ხელფესშეკრული და შეუძლია მოახდინოს *ისტორიის კონსტრუირება*. ისტორია დუმს, თუ რატომ იქნა განდევნილი ოვიდიუსი რომიდან; ამიტომაც ამაზე ავტორი იძლევა პასუხს. რანსმაირის რომს მართავს დიქტატორი; სახელმწიფო მთლიანად კონტროლირდება; რომის იმპერია სტატიკურია, უმოძრაოა. ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ საფრთხის შემცველია, რადგან სახიფათოა ნებისმიერი ცვლილება, ტრანსფორმირება. რანსმაირი გეთავაზობს საკუთარ ვერსიას მათი ისტორიული ფაქტებით განმტკიცების გარეშე. მისი რომი არ არის კონკრეტული ისტორიული ადგილი კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში. იგი ზედროულია, დროის მიღმა იმყოფება, მაგრამ ამავდროულად, მან ყველა ეპოქა შეისრუტა, მოიცვა. ოვიდიუსის განდევნის ადგილიც - ტომე - მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს. უცნაური ლოგიკით, სიცრუე ხდება უფრო რეალური, ვიდრე ისტორიული სინამდვილე. წარსულის ინტერპრეტირებისა და რეკონსტრუირების, *სხვა რეალობის* შექმნის საშუალებით ავტორი იმარჯვებს დროზე.

რანსმაირის გმირი არაპროფესიონალი გამომძიებელია, რომელიც ანტიკური ეპოქის გენიოსის ნაკვალევზე მიემართება. რომაელი კოტა ნაზონის საძებნელად იმპერიის განაპირას, ქალაქ ტომეში მიემგზავრება, სადაც პოეტი გადაასახლეს. ნაზონზე ცნობების შეგროვებისას კოტა იქცევა ისე, როგორც ბიოგრაფი-მოყვარული; იგი გულმოდგინედ ეპყრობა ყველაფერს, რაც დაკავშირებულია პოეტთან: „აქ დადიოდა ნაზონი“ (4, 20). აღნიშნული სიუჟეტური ხაზით ავტორი ისტორიოგრაფიული მეტარომანის კიდევ ერთ მარკერს გამოყოფს, რომელიც *ძებნა/გაქცევა*ს, *დეტექტიურ ხაზს* უკავშირდება. აღნიშნულ მარკერებთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლით უმბერტო ეკოს საეტაპო რომანს „ვარდის სახელი“ (1980). გარდა პაროდულიობისა და ინტერტექსტუალობისა, ამ რომანში იყო კიდევ მინიმუმ ორი მნიშვნელოვანი მომენტი - *დეტექტიური სიუჟეტის ხაზი* და *წიგნის ძებნის მოტივი* -

<sup>9</sup> პლუტონის რომაული სახელი.

რომელმაც თანამედროვე ისტორიული რომანისთვის ახალი პირობითობები განსაზღვრა. ეკოს რომანის შემდეგ ისტორიოგრაფიული მეტარომანის სასურველი ფიგურა გახდა დეტექტივი (პროფესიონალი ან მოყვარული) ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მის ფუნქციებს ასრულებს; იმავდროულად, ტრადიციული გახდა სიუჟეტური მოქმედების განვითარება დაკარგული, გამქრალი ან მოპარული წიგნის გარშემო. თანამედროვე ისტორიულ რომანებში დეტექტიური მოტივის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს წარსულის შესახებ საბოლოო და სრული ცოდნის პრობლემატურობის ხაზგასმა, არსებული ცოდნის ეჭვქვეშ დაყენება და ახალი ინტერპრეტირებების გამოთქმა/დაფიქსირება.

პოსტმოდერნიზმისთვის უზომოდ დიდი მნიშვნელობა აქვს *წიგნის სახეს*. პოსტსტრუქტურალისტები ადამიანს წერითი კულტურის ფენომენად, გუტენბერგული ცივილიზაციის ნაყოფად განიხილავენ. ისინი სამყაროს აღიქვამენ როგორც უსაზღვრო, უსასრულო ტექსტს, რადგან დერიდას სიტყვებით, „არაფერი არ არსებობს ტექსტს მიღმა“. უმბერტო ეკოსთვის სამყარო „ენციკლოპედიაა“, „დექსიკონია“; ხოსე ლუის ბორხესისთვის – უზარმაზარი ბიბლიოთეკა. ეს კონცეფციები ასახვას პოულობენ ისტორიოგრაფიულ მეტარომანშიც. დაკარგული წიგნი (ან ნებისმიერი სხვა არტეფაქტი) წარმოადგენს შეკრული, ერთიანი მსოფლშეცნობის დაკარგვის მეტაფორას. გმირი ეძებს მას ან ტექსტების ავტორს, მაგრამ განიცდის მარცხს, რადგან საბოლოო პასუხი არ არსებობს და პოსტმოდერნული თხრობის ფინალი ყოველთვის ღიად რჩება. მკითხველი, ისევე როგორც გმირი, ვეღარ გრძნობს თავს დაჯერებულად, რადგან სინამდვილე, ფაქტები ერწყმიან სიცრუეს, ხოლო წარსული – განუყოფელია აწმყოსგან და მასზე ზეგავლენის მოხდენაც კი შეუძლია. მოვლენათა შორის კავშირის დამყარება - საკუთარი თავის პოვნის მცდელობაა. საბოლოო ჯამში, წიგნის, ტექსტის, გარდაცვლილი მწერლის ძებნა ხორციელდება არა სიმართლის გასაგებად ან რეალური ისტორიული სურათის აღსადგენად, არამედ საკუთარი თავის, საკუთარი ფესვების მოძიების, მოცემულ კონტექსტში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად.

პოსტმოდერნიზმისთვის კიდევ ერთი ნიშნული სახეა - *მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ანტიკვარული დახლი*, რომელიც შეიძლება განზოგადდეს თვით თხრობის მეტაფორამდე; მეტიც, ავტორი ხშირად თამაშობს მუზეუმის, კოლექციის და ა.შ. ორი ტიპის შედარებაზე. პირველში - ისტორიული მტკიცებულებები გულმოდგინედ არის მოწესრიგებული, დანომრილი, თემატიზირებული; იგი სტაბილური, უსიცოცხლო წარსულის სახეა. ხშირ შემთხვევაში ასეთ მუზეუმს უპირისპირდება ანტიკვარული დახლი ან უბრალოდ სახლი, სხვენი, რომელიც სავსეა სხვადასხვა ძველებური ნივთებით; აქ წარსული ცხოვრობს თავის სხვადასხვა რეპრეზენტირებაში; იგი არ არის დასრულებული, აღსავსეა მოულოდნელობებით, ღიაა ახალი აღმოჩენებისთვის.

რანსმაირის რომანის გმირი, რომელიც კოტა, მიემგზავრება ოვიდიუსის საძებნელად მას შემდეგ, რაც რომში მოაღწია შემაშფოთებელმა ცნობამ პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის გარდაცვალების შესახებ. შავიზღვისპირეთის ქალაქ ტომეში ექსპედიცია უნდა გაიგზავნოს, რომელიც ამ ცნობას გადაამოწმებს; მაგრამ კოტას სურს, პირველი იყოს, სხვებს დაასწროს და თავად გაერკვეს ყველაფერში; ნაზონის სიცოცხლის ბოლო დღეებსა და სიკვდილზე მან უთხრას რომს სიმართლე. ამასთან, კოტას სურს, „მეტამორფოზების“ ერთი ასლი მაინც ჩაიგდოს ხელში, რადგან დედანი ავტორმა გადასახლების წინ დაწვა; ეს შესაძლებლობას მისცემს კოტას, ოპოზიციისა და ხელისუფლების მხრიდან დამსახურებული აღიარება მოიპოვოს. სინამდვილეში ცნობილია, რომ „მეტამორფოზები“ პოეტის მეგობრებისა და თავყვანისმცემლების ჩანაწერებზე დაყრდნობით სრულად აღადგინეს, მაგრამ რან-

სმაირის თანახმად, *ხელნაწერი არ არსებობს*. აქ აშკარად იგრძნობა რემინისცენცია ეკოს „ვარდის სახელთან“, რომელშიც ავტორი არისტოტელეს „პოეტიკის“ მეორე ნაწილთან დაკავშირებით საკუთარ ვერსიას გვთავაზობს: საბოლოოდ, ეკოსთანაც და რანსმაირთანაც ხელნაწერები ცეცხლში იწვიან.

ოვიდიუს ნაზონის მსახური კოტას უჩვენებს ქვეს, რომლებზეც ამოთლილია სიტყვები. რომაელი ცდილობს, გამონახოს ამ ფრაზების წაკითხვის წესი, რომ მათგან შეძლოს აზრის გამოტანა. დეშიფრირება გაიტაცებს კოტას და ის მართლაც შეძლებს „მეტამორფოზების“ ნაწევრის წაკითხვას. წარმატებისგან გახალისებული კოტა გადაწყვეტს, „ამოიღოს“ ნაზონის ისტორიები ტომეს მკვიდრთა მოგონებებიდან და ამგვარად აღადგინოს წიგნი. მაგრამ ეს ჩანაფიქრი არ შედგა. ადამიანები, რომლებმაც ოვიდიუსისგან მოისმინეს ესა თუ ის ამბავი, თავიანთი ინტერპრეტირებით უამბობენ კოტას, რომელსაც საბოლოოდ ეჩვენება, რომ ნაზონი თითოეულს სხვადასხვა ისტორიას უყვებოდა. მუნჯი არაქნე კი კოტას ნაქსოვი გობელენების სახით სთავაზობს ნაზონის ისტორიების თავისებურ ინტერპრეტირებას. საბოლოოდ, რომაელი გააცნობიერებს იმას, რაც მკითხველმა მასზე ადრე გაიგო: იგი იმყოფება ოვიდიუსის მიერ შექმნილ სამყაროში და მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც პოეტსა და მის წიგნს ეძებდა, ცხოვრობდა მასში. ამგვარად, ტომეს ყველა მაცხოვრებლის ისტორია, ნაჭრებზე დაწერილი, „არა მარტო ძველთაძველები, არამედ რკინის ქალაქის მომავალი ბედიც... გაშიფრული, ახლა უკვე კოტას თითებს შუა ეპარებოდა“ (4, 172).

ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილი მარკერების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოსტმოდერნისტი ავტორები თანამედროვე ადამიანის წარსულთან დამოკიდებულების, სინამდვილისა და ისტორიის, სიცრუისა და რეალობის ურთიერთდამოკიდებულების წარმოსაჩენად მიმართავენ შემდეგ საშუალებებსა და ხერხებს:

➤ აღმოჩენილი არტეფაქტი, მოწმობა წარსულის შესახებ (პორტრეტი, ხელნაწერი, წერილი და ა.შ.), რომელიც ცვლის წარსულის დროთა ჩამოყალიბებულ სურათს;

➤ პერსონაჟი, რომელიც შეპყრობილია წარსულით, მიჰყვება პოეტს, მწერლის ნაკვალევს, ცდილობს, ამოხსნას წარსულის გამოცანები;

➤ სიყალბის მოტივი ააშკარავებს წარსულის შესახებ წარმოდგენების სიცრუეს, წარსულის მიუწვდომლობას;

➤ თამაში დროსთან, წარსულისა და აწმყოს დროითი ფენების აღრევა მჭიდრო ურთიერთკავშირზე, აწმყოზე წარსულის ზეგავლენაზე მიანიშნებს;

➤ თხრობაში/ნარატივში მოგონებების, ლეგენდების, ავთენტიკური ან არაავთენტიკური პოეტების (მწერლების) ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების, წერილების ჩართვა;

➤ კითხვები, რომელთა ადრესატი მკითხველია და რომლებიც უპასუხოდ რჩება;

➤ თხრობის ღია ფინალი, ამოუხსნელი გამოცანა წარსულის მიუწვდომლობაზე, ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების შეზღუდულობაზე, წარსულის ინტერპრეტირების ღიაობაზე, „გადაწერაზე“ მიუთითებს.

### **ლიტერატურა:**

1. Hutcheon L. A Poetics of Postmodernism. History, theory, fiction. New-York-London: Routledge, 1992.

2. Onega S. A Knack for yarns. The narrativization of History and the end of history // Telling Histories: Narrativizing History, Historicizing Literature, ed. by S. Onega. Amsterdam – Atlanta: Rodopi, 1995.
3. Onega S. British Historiographie metafiction in the 1980 s// Postmodern Studies 7. British postmodern fiction, e.d. By T. D’haen and H. Bertens. Amsterdam – Atlanta, 1993.
4. Ransmayr Ch. Die letzte Welt, Fischer, 1991.
5. Акройд П. Чаттертон. М., Аграф, 2000.
6. Ильин И. П. Постструктурализм. Деконструктивизм. Постмодернизм. М., Интрада, 1996.

**Lana Nadareishvili**  
***The main markers of the historical metanovel***  
***(A novel by Christopher Ransmayr “The last world”)***  
**Summary**

As is known, historical metanovel comprises on the one hand, parody self-reflexation received by modern heritage, and on the other hand, XIX century historical novel traditions that implicates well interpreted and constructed subject, with the distinct personages and narration technique characterized by classical realism. One of the key words for the historical metanovel is *falsification*, aim of which is to doubt the history. As it is known, historical novel mainly addresses the text evidences, so that makes the novel more convincible and real. In contrast, historical metanovel does not address such similarities; they are not embedded in the total narration. Authors usually use such evidence as documents, parts from the diaries, letters, cuts from the old newspaper - that breaches the narrative process and makes falsification, as if the reader becomes the witness of historical collection. The given issues are described in the Christopher Ransmayr’s novel “The last world“.

**Лана Надареишвили**  
***Основные маркеры историографического метаромана***  
***(Роман Кристофа Рансмайра «Последний мир»)***  
**Резюме**

Как известно, историографический метароман объединяет в себе, с одной стороны, унаследованную от модернизма пародийную саморефлексию и, с другой стороны, традицию исторического романа XIX века, которая подразумевает хорошо продуманный сюжет, четко выраженных персонажей и характерную для классического реализма нарративную технику. В первую очередь, автор историографического метаромана *обыгрывает* достоверность или ложь исторического факта. Ключевое слово историографического метаромана - фальсификация, направленная на то, чтобы вселить сомнение в разум читателя, в его представление об истории. Авторы классических исторических романов часто прибегают к текстуальным документам, которые служат убедительным свидетельством подлинности авторских концепций. В отличии от них, авторы историографических романов не увлекаются ассимилированием в тексте документов такого типа, напротив, способом монтажа они «втавлиют» в текст документы разного типа, отрывки из личных дневников, писем, вырезки из старых газет, что приводит к нарушению процесса повествования и создает впечатление, будто читатель становится свидетелем коллекционирования исторических деталей. Все эти вопросы обсуждаются на примере культового романа Кристофа Рансмайра «Последний мир».

**Жанна Толысбаева**  
(Казахстан)

**МЕГАПОЛИС ГЛАЗАМИ ЖЕНЩИНЫ**  
(по повести Л. Калаус «Темные паруса»)

Ускорение процесса урбанизации на рубеже тысячелетий проявилось особенно полно в эксстолице - городе Алматы, который испытывал серьезные изменения в социальном составе. Основными характеристиками модернизационных процессов в рассматриваемый период является их относительная быстрота и, главное, - их противоречивость. Алматы представляет собой типичный пример быстро растущего под влиянием процессов модернизации, индустриализации, урбанизации крупного города, пораженного постоянным кризисом «большого города», распадающегося на ряд отдельных кризисов: жилищный, санитарный, коммунальный, социальный и т.д. Все это не могло не отразиться на качестве жизни, типе мироощущения коренного жителя Алматы. Именно об этом пишет в своей повести-мелодраме «Темные паруса» (1) современный писатель Казахстана Лилия Калаус. Каким видит Город автор? Чего больше в мелодраме «Темные паруса»: ужасающего гротеска на современный городской быт или тоски по «алым парусам» несбывшихся надежд?

Можно ли отнести текст повести к женской прозе? В общем-то, да. Автор – женщина, центральные героини – женщины, проблематика повести так или иначе связана с женскими судьбами. Взгляд на окружающую действительность дан с точки зрения высокоинтеллектуальной женщины, с учетом особенностей женской психологии. И, что самое важное, главные героини повести-мелодрамы Лилии Калаус «Темные паруса» - жительницы Алма-Аты-Алматы, принадлежащие разным эпохам, профессиональным кругам, имеющие разные интересы и системы ценностей. На начало повести их объединяет быт и темп жизни огромного города. В конце сюжета они узнают о себе что-то еще, что позволит сохранить себя в условиях этой городской жизни...

Кратко прокомментирую основные события. Лида под видом журналистки приходит в дом своей подруги Аси. Цель визита – взять мнимое интервью у талантливой, незаурядной Аделаиды Павловны – матери Аси (об этой услуге попросила Ася, чтобы поддержать свою мать). Лиду поражает и ужасает эта немолодая, капризная, подозрительная, очень разговорчивая творческая личность. Лида жалеет, что ввязалась в эту историю. Но и *Снежная Королева* (так Лида про себя называет мать подруги) или просто *Королева* что-то заподозрила. Психопатичной старухе предъявляют специально заготовленную визитку, на которой можно прочесть: «ЭДЕЛЬВЕЙС. Ассоциация ветеранов ВОВ и инвалидов труда. Литературный клуб». Она, щурясь, читает, и эта надпись ошарашивает её.

Становится не до игры, когда приходит участковая врач и начинается скандал из-за недостачи одной пустой ампулы сильнодействующего обезболивающего. Перебранка с братом Аси ничего не меняет, а только ухудшает ситуацию.

Но в этом доме, куда непонятно почему тянет Лиду, еще много проблем. Ася беременна, отцу будущего ребенка нет до этого дела. Очередная картина мелодрамы переносит нас в мрачный роддом, который описан в стиле черного юмора. После такого заведения даже запущенная и непрветренная квартира с доживающей последние часы матерью кажется желанной. Врачи скорой, приехавшие констатировать смерть матери, опять увозят Асю в роддом, теперь уже рожать.

В последней картине Ася возится с младенцем, происходит примирение с братом, а Лиде никуда не хочется уходить из этого дома. Где-то за пределами изображаемого

находится ее муж Жорик, которому она часто звонит по сотовому. Но он так и не появляется перед читателями, остается закадровым персонажем – таким непооявившимся Годо из пьесы С. Беккета.

Атмосфера тотального недоверия и надрыва снимается. Нестабильная жизнь достигает состояния крайнего упрощения и потому временного благополучия: необходимый уход за беспомощным младенцем в чём-то тождествен ситуации обязательного присмотра за больной матерью. Биология подчиняет психологию. Выполняя долг перед слабейшими, героиня неожиданно преодолевает абсурдность бытия.

Встречи и расставания, постижения жизненных истин, откровения и раскаяния героинь происходят в пространстве города. Примечательно, что из всех персонажей мужского рода на авансцену реальных действий выведен только полужуровидный брат Аси. Существование на страницах повести всех остальных мужчин слишком фантомно: и муж Лиды, и любовник Аси так же призрачны, как ушедшие в мир иной поклонники престарелой Аделаиды. Единственным мужчиной в повести остается быть Город. Он становится самым главным сверхгероем во всех ипостасях: урод и красавец, богач и нищий, раб и насильник, испытывает на прочность, и он же дает силу для жизни. В ситуациях выбора, которые Город щедро раздает своим невольницам, заложены такие конфликты, которые рассказывают неприкрытую правду о времени и о его современниках. Что же это за конфликты, видимые женскому взгляду?

В первую очередь, это конфликт между красивым и безобразным, гармоничным и осколочным. В алматинской книге Лилии Калаус «Темные паруса» урбанистический пейзаж передан динамичными фразами и неординарными образами-метафорами. Автор описывает современный город предельно субъективно и нелюбезно:

*«В пять пополудни сизая муть была электрифицирована, свечение невидимого, но близкого солнца. И уродливый город медленно и мягко зажгётся изнутри янтарным величием русского барокко. Так бывает в Средней Азии. Нет, это не девятиэтажные шлакоблочные дома уныло ползут за окнами маршрутки, затравленные стаей праворулек, а мраморные, обрубленные в бедрах ноги колосса шагают, не зная ещё о судьбе остального тела, шагают, истекая потоками горячего света, бодро, по инерции...» (58, 1).*

*«...Свечение исчезло. И ртутное море ослепительной жары мгновенно, до плохо пригнанных бетонных черепных костей, выжгло лицо города»,*

Абсурд и какофония, изуродованность некоего идиллического образа – вот главные характеристики этого топоса, элементы которого выбиты из ансамблевого целого и более напоминают руины на свежем пепелище. Откуда и кем задана эта программа агрессии, кровавого насилия («обрубленные в бедрах ноги колосса ... истекают потоками света (а в сознании читателя по инерции авторского ожидания возникает образ *крови потоком*)»)? Порождается где-то на высшем космическом уровне и, соблюдая какую-то свою иерархию, распространяется на быт по-прежнему маленьких людей? Или его создали из суеты сует сами люди, непомерные в своем мятежном стремлении взять верх над каждым, кто появляется рядом?

*«Небо гудело над крышами, давило на горы, угрюмо нахохлившись на юге, пригнало к земле мятежные головы верненских вязов, кажется, сосланных сюда когда-то вместе с дагерротипами, латунью подозрительных труб, кружесом зонтиков, казачьими станицами, синематографом «XX век» и прочими философами-садоводами-революционерами-инженерами-строителями-поляками-корейцами-японцами-татарами-немцами-эстонцами-евреями» (58, 1).*

Вот так через запятую и дефис, уравнивая человека, идеологию, национальность, профессию и вещь, автор воссоздает в динамике историю Города – от Верного до современного мегаполиса. И задает основную тревожную интонацию повести...

Не удивительно, что лексико-стилевое своеобразие повести создают оксюморонные образы, акцентирующие внимание на конфликтном мировидении автора.

В пять пополудни сизая муть была электрифицирована свечением невидимого, но близкого солнца (58, 1)

И уродливый город медленно и мягко зажётся изнутри янтарным величием русского барокко (58, 1)

... фиксировать как-то эту жизнь-нежизнь, странные эти штуки, видимые всем и почти никому не видимые (58, 9)

Пейзаж казался уже родным, как запах этой квартиры, как чужие обстоятельства, как новые заботы, как старые летние мозоли (58, 35)

Жизнь, думала дальше она, полна не вопросов, а ответов. Лида благодарно улыбнулась сквозь слёзы и посмотрела на небо (58, 35).

ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ევროპამ განიცადა სერიოზული მიგრაციის და ლტოლვილთა კრიზისი, როდესაც მილიონობით ადამიანი გამოექცა კონფლიქტს და სიღარიბეს სირიიდან, ერაყიდან, ავღანეთიდან, აფრიკიდან თუ სამხრეთ აზიიდან. საბერძნეთი იყო ჩამოსვლის ძირითადი ადგილი და სატრანზიტო პუნქტი იმ პირებისთვის, რომლებმაც ხმელთაშუა ზღვა გადაკვეთეს. თუმცა, ასევე იტალიაც წარმოადგენდა დიდი რაოდენობის მიგრანტთა და ლტოლვილთა დანიშნულების ადგილს. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ დასავლეთ ბალკანეთის გადაკვეთას იმ მიზნით, რომ მიეღწიათ შენგენის სხვა ქვეყნებისთვის, როგორცაა უნგრეთი და სლოვენია, საიდანაც ისინი ეცდებოდნენ გადასვლას ჩრდილოეთით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გერმანიასა და შვედეთში, სადაც მათ რწმენით მიიღებდნენ თავშესაფარს და იქნებოდნენ უკეთეს პირობებში (1). კრიზისის დასარეგულირებლად ევროკავშირის მრავალი ინიციატივა 2015 წლის განმავლობაში წარუმატებელი გამოდგა. შედეგად ორგანიზაციამ დაიმსახურა კრიტიკა შეთანხმებული და ეფექტური საიმგრაციო და თავშესაფრის სტრატეგიის ნაკლებობის გამო, რაც გამოწვეული იყო ეროვნული სუვერენიტეტის და ისეთი მგრძობიარე საკითხების შედეგად, როგორცაა უმცირესობები, ინტეგრაცია და იდენტობა. მოცემულმა კრიზისმა შექმნა ქაოსი ევროპის კონტინენტზე, ღრმა განხეთქილებებს დაუდო სათავე ევროკავშირის შიგნით და შეაფერხა ევროინტეგრაციის პროცესი. აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს ევროსკეპტიციზმის ზრდა წევრი ქვეყნების მოსახლეობაში და ნაციონალისტი ლიდერების გააქტიურება, უთანხმოების გამწვავება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის და ევროინტეგრაციის მთავარი ღირებულებების და მიღწევების, მათ შორის შენგენის სივრცის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტს იმისა, რომ მიგრაციის კრიზისმა მეტად ნეგატიური გავლენა მოახდინა ევროინტეგრაციის პროცესზე, წარმოადგენს ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობების გავრცელება და წევრ ქვეყნებში ნაციონალისტი ლიდერების გაგლეხის ზრდა მოსახლეობაში. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოსახლეობაში არსებული უნდობლობა ამ ინსტიტუტის მიმართ მისი შექმნის დღიდანვე არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის წინაშე მდგარმა თანამედროვე გამოწვევებმა, განსაკუთრებით კი ევროზონისა და მიმდინარე მიგრაციის კრიზისის ეფექტურად გადაჭრის სირთულემ, კიდევ უფრო გააღვივა ევროსკეპტიციზმი, ხელი შეუწყო მზარდი პოპულიზმის გავრცელებას და დაანქარა ადრე არსებული პოლარიზაციისა და ფრაგმენტაციის ტენდენციები. შეინიშნება ევროკავშირის ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერისა და ნდობის შემცირება. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით (2015 წ.), ევროპელთა უმრავლესობას (59%) ნეგატიური ხედვა აქვს იმიგრაციასთან დაკავშირებით ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან. კერძოდ, პროცენტული მაჩვენებელი სლოვაკეთსა და ლატვიაში შეადგენს 86%-ს, უნგრეთში 82%-ს, ჩეხეთის რესპუბლიკასა და ესტონეთში - 81%-ს. აღნიშნული პროცესისადმი საზოგადოების უარყოფითმა დამოკიდებულებამ გამოიწვია გაერთიანების არაერთ წევრ ქვეყანაში ექსტრემისტული ხედვების გავრცელება, ანტი-იმიგრაციული, ნაციონალისტი პარტიების და პოპულისტი ლიდერების აღზევება, რომლებიც ევროინტეგრაციის პროცესს სერიოზულ საფრთხეს უქ-

მნიან. 2016 წელს რობერტ ჰოფერმა ავსტრიის მემარჯვენე თავისუფლების პარტიიდან ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო შთამბეჭდავი, ხმების 49%. მისმა შედეგმა კარგად ასახა ამომრჩევლის ფართო იმედგაცრუება იმიგრაციის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მან საბოლოო გამარჯვება ვერ მოიპოვა, მხარდაჭერის მაღალმა მაჩვენებელმა ევროპის პოპულიზმის ტალღას მისცა ბიძგი. რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოში, ფინეთის, უნგრეთის, ლატვიის, ლიტვის ჩათვლით მემარჯვენე პარტიებმა მთავრობის სადავეები დაიკავეს. ხოლო, იმ ქვეყნებში, სადაც მათ ძალაუფლება ვერ მოიპოვეს, ბრიტანეთის UKIP, საფრანგეთის ეროვნული ფრონტი, გერმანიის ალტერნატიული für Deutschland, საკმაოდ პოპულარობით სარგებლობენ. საბერძნეთში კი, პრემიერ-მინისტრ ალექსის ციპრას მემარცხენე Syriza პარტია ძნელად სარწმუნო კოალიციურ მთავრობას უძღვება მემარჯვენე პოპულისტ „დამოუკიდებელი საბერძნეთის“ პარტიასთან ერთად. პოპულისტი პარტიები ევროკავშირის ზოგიერთ წევრ ქვეყანაში მთავრობების უმრავლესობაში არიან ან კოალიციების ნაწილს შეადგენენ, პოპულისტი პარლამენტარები კი ევროპული პარლამენტის დაახლოებით მეოთხედს წარმოადგენენ, რომელთა ქსენოფობიურ დამოკიდებულებას მეტად უარყოფითი ეფექტი აქვს ევროპის საზოგადოებაზე, ზრდის რა სოციალურ დაძაბულობებს და აქეზებს უმცირესობებზე თავდასხმებს. ევროპის რადიკალი მემარჯვენე ლიდერები ანტი-იმიგრაციული პოლიტიკის მომხრეები არიან და ითხოვენ საზღვრების გამკაცრებას (2). რადიკალური მემარჯვენე პოპულისტების იდეოლოგია ფუნდამენტურად შეუთავსებელია ევროპული ინტეგრაციის პროცესთან. მაგალითად, საფრანგეთის ეროვნული ფრონტის ლიდერი მარინ ლე პენი, რომელიც ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდის, უარყოფს ევროს და ადანაშაულებს ბრიუსელს მასობრივი იმიგრაციისთვის, შენგენის თავისუფალი მიმოსვლის პოლიტიკის გამო (3). ამგვარად, ევროინტეგრაციის პროცესისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს პოპულისტური ტალღა, რომელიც, თავის მხრივ, გაამწვავა მიგრაციულმა კრიზისმა. კავშირის მიზანი, ევროპული ინტეგრაცია ტრანსნაციონალური პროექტია, რომელიც დაფუძნებულია იმ პრინციპებზე, რომლებსაც ანტი-ევროინტეგრაციული პარტიები ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებიან: გაზიარებული სუვერენიტეტი, სუპრანაციონალური ხელმძღვანელობა, განსხვავებულ ინტერესებს შორის კომპრომისები და თანაზიარი ტოლერანტობა. ევროკავშირის ღირებულებები ლიბერალურ ბაზისზეა დაფუძნებული: დემოკრატია, თავისუფლება, თანასწორობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და კანონის ძალა. აღნიშნული პრინციპებისგან განდგომა კი ძირეულად შეასუსტებს ევროკავშირის სანდოობას და პრესტიჟს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლა უპრეცედენტო მოვლენა იყო ევროკავშირის ისტორიაში, რომელმაც ევროინტეგრაციის პროცესზე ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედა. ბრექსიტი აღვივებს ანტი-ევროკავშირის განწყობას, ნაციონალისტ და ევროსკეპტიკურ მოძრაობებს (4). მან შესაძლოა ერთგვარი გადაღვრის ეფექტი გამოიწვიოს, რადგან რიგი ევროკავშირის ქვეყნების ნაციონალისტი პოლიტიკური პარტიების ლიდერები მოსახლეობას პირდაპირ ეროვნული რეფერენდუმის ჩატარებას ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით. ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და ევროკავშირის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება გაამწვავა მიგრაციის კრიზისმა, რომელმაც გარკვეული გავლენა იქონია რეფერენდუმის შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთი არ არის შენგენის შეთანხმების წევრი და ერთი შეხედვით, ლტოლვილთა ნაკადის მოდინებას არ აქვს პირდაპირი შეხება ევროკავშირთან, ევროსკეპტიკოსი ბრიტანელი პოლიტიკოსები ხშირად იყენებდნენ მიგრა-

ციის კრიზისს ევროკავშირის წევრობის საწინააღმდეგოდ (5). ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ლტოლვილთა კრიზისთან დაკავშირებული არაკომპეტენტური და ქაოსური გარიგებები ბრიუსელში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი იმისა, რომ მიგრაციის და ლტოლვილთა კრიზისი განსაკუთრებული საშიშროების ქვეშ აყენებს მთლიანი ინტეგრაციის პროექტის იდეას, მდგომარეობს შენგენის სივრცესთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებში. აღსანიშნავია, რომ შენგენის შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოეწერა 1985 წელს, ევროკავშირის შიგნით შეიქმნა ერთიანი ტერიტორია „საზღვრების გარეშე“. საზღვრების გაქრობა და ადამიანების თავისუფალი მიმოსვლა ევროკავშირის პროექტის ცენტრალურ ხედვებს შეადგენენ. ეს არა მხოლოდ ევროპული ინტეგრაციისთვის, არამედ ევროპული მოქალაქეობის შექმნისა და განვითარებისთვის იყო უდიდესი ნაბიჯი. შენგენის არეალი მიხნეულია ევროკავშირის ერთ-ერთ ძირითად საყრდენად და მთავარ მიღწევად. თუმცა, მიგრანტთა კრიზისი ამ მიღწევებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. დღეს ვხედავთ საზღვრებზე კონტროლის ხელახალ დაწესებას გერმანიის ავსტრიასთან, ავსტრიის სლოვენიასთან, სლოვენის ხორვატიასა და შედეთთან (ეს უკანასკნელი ჯგუფს შეემატა დანიასთან ერთად), რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა დევნილთა ნაკადის კონტროლი. მოცემული შემთხვევა შეიძლება მივიჩნიოთ საზომად იმისა, თუ რამდენად შორს წავიდა თავისუფალი მიმოსვლის სივრცის რღვევის პროცესი. გერმანიასა და ავსტრიას შორის საზღვრის დაკეტვა კონტრპროდუქტიული იყო, თუ ამით გერმანიის მთავრობა ცდილობდა სხვა წევრ სახელმწიფოებზე ზეწოლის მოხდენას, რათა დაეკისრებინა ვალდებულება, მოეხდინათ ერთობლივი ძალებით ლტოლვილთა რეგულირება და რელოკაცია. ევროკავშირის ინსტიტუციური და საკანონმდებლო შეთანხმებები აშკარად არ იყო მზად გამკლავებოდა უზარმაზარი რაოდენობის მიგრანტთა მოდინებას, რამაც შედეგად ღრმა განხეთქილებები გამოიწვია წევრ სახელმწიფოებს შორის. საბოლოოდ, მრავალმა მათგანმა დაიწყო სასაზღვრო კონტროლის დაწესება, რადგან არ სურთ მიიღონ ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილო აფრიკიდან გამოქცეული ხალხის ნაკადი (6). ზოგიერთი განიხილავს ან უკვე დაიწყო კედლების ან ღობეების აშენება თავიანთ საზღვრებთან (უნგრეთმა სერბეთისა და ხორვატიის საზღვართან). ლტოლვილთა კრიზისი არ არის დროებითი და შესაძლოა წლების განმავლობაში გაგრძელდეს. ამგვარად, მანამ, სანამ წევრი სახელმწიფოები სოლიდარობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გლობალურ შეთანხმებებს ვერ მიადწევენ, შენგენის სისტემის არსს ძირი გამოეთხრება და მისი კოლაფსი კიდევ უფრო აშკარა გახდება.

გაზიარებული სტრატეგიის და მექანიზმების ნაკლებობის შედეგად შეუძლებელია თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სასამართლოს კონსტრუქცია, მანამ სანამ თავშესაფრის მაძიებელთა, საგარეო საზღვრების კონტროლი და მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკა ეროვნულ გადაწყვეტილებებს ექვემდებარება. შეიძლება ითქვას, რომ მიგრაციის კრიზისმა ერთგვარად გაყო ევროპა ორ დაპირისპირებულ მხარედ და წევრ სახელმწიფოებს შორის უთანხმოების გაზრდით მეტად შეასუსტა ინტეგრაციის პროცესი. ევროკავშირის ქვეყნების ერთი ნაწილი იღებს ომიდან გამოქცეულ თავშესაფრის მაძიებელ ადამიანებს, მეორე კი კრძალავს მათ შემოსვლას თავიანთ ქვეყნებში. პირველი მხარე თვლის, რომ მოცემულ ჰუმანიტარულ კრიზისში ადამიანის უფლებებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, მაშინ როდესაც მეორე მოითხოვს ეროვნული და ეთნიკური იდენტობების დაცვას იმისგან, რაც საფრთხედაა მიხნეული ევროპული ცივილიზაციისთვის. განხეთქილება ყველაზე დიდ გამოხატულებას პოუვს, ერთი მხრივ, მერკელის გერმანიისა და იუნკერის ევროპული კომისიის აღიანსსა და, მეორე მხრივ, ვიქტორ ორბანის მიერ მართულ უნგრეთის მთავრობას შორის.

რის, რომელიც ასევე ხელმძღვანელობს ვიშეგრადის ჯგუფს (ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი, სლოვაკეთი). აღსანიშნავია, რომ ანგელა მერკელმა მზადყოფნა გამოხატა მიეღო 800000-მდე დევნილი და იმგვარად მომხდარიყო რეფორმა ევროკავშირის მექანიზმებისა, რომ შეძლებოდა ევროკავშირს გამკლავებოდა მიგრანტთა ახალი ტალღის ჩამოსვლას, კერძოდ, გაეკონტროლებინათ ერთიანი ევროპული საგარეო საზღვარი ან შეემუშავებინათ საერთო მიგრაციის და თავშესაფრის პოლიტიკა. საერთო სტრატეგიის საწინააღმდეგოდ, ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა უნგრეთი და პოლონეთი, უკან დაიხიეს თავიანთი ვალდებულებების შესრულებისაგან. მათი მტკიცებით, აღმოსავლეთ ევროპამ უკვე განიცადა ლტოლვილთა დიდი ნაკადის შესვლა უკრაინის კრიზისის განმავლობაში და ამჯერად შეუძლებელი იქნებოდა მიგრანტების მიღება ევროპის სამხრეთ საზღვართან არსებული კონფლიქტიდან (სირია). პოლონეთმა, ჩეხეთის რესპუბლიკამ და სლოვაკეთმა განაცხადეს, რომ ისინი მეტ მუსლიმ მიგრანტს აღარ მიიღებდნენ. ვიშეგრადის ჯგუფის ლიდერები თვლიდნენ, რომ სოციალური ინფრასტრუქტურები არ აძლევდათ საშუალებას გერმანიის მსგავსი სოლიდარობის გამოჩენის, განსაკუთრებით კი გამომდინარე მათი დამახასიათებელი კულტურული ფესვებიდან, შეზღუდული სერვისები დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა ადგილობრივ და უცხოურ მოსახლეობას შორის. ამგვარად, შესაძლო თავისუფალი მიმოსვლის დასასრული, შიდა საზღვრების ხელახალი დაწესება და ევროკავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებზე უარის თქმა, რომლებიც ევროპული ინტეგრაციის პროექტის ძირითად საყრდენებს წარმოადგენენ ლტოლვილთა კრიზისის არასასურველ ეფექტებად გვევლინება.

ლტოლვილთა კრიზისის წყალობით, უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ნაკლებად მიიჩნევს ევროკავშირს როგორც ღირებულებების და სოლიდარობის საზოგადოებას, არამედ პრაგმატულად აფასებენ თავიანთ წევრობას ხელშესახები ხარჯების და მოგების თვალსაზრისით. როგორც აღინიშნა, მრავალი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა უარს ამბობს ლტოლვილთა მიღებაზე და უკან იხევენ თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე (5). აღსანიშნავია, რომ დუბლინის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა თავშესაფრის აპლიკაციების რეგისტრაციისა და მონაცემების დამუშავებაზე ეკისრება პირველ შენგენის სახელმწიფოს, სადაც ლტოლვილი ჩადის, არაეფექტური გამოდგა. საბერძნეთსა და იტალიას, სადაც მიგრანტთა უდიდესი ნაკადი მიდის, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრათ ამ მხრივ. შედეგად, მათ აღარ შეასრულეს თავიანთი მოვალეობები და ნება დართეს დევნილებს თავიანთი სურვილის შესაბამისად გადაადგილებულიყვნენ. საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი დაემუქრა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიგრანტთა დიდი ნაკადის გაშვებით მათთან, ისინის მეტროპოლების ჩათვლით, თუ ისინი საბერძნეთს ფინანსურად არ დაეხმარებოდნენ. იენისში კი იტალიის მთვარობა დაიმუქრა, რომ მიგრანტებს საშუალებას მისცემდნენ ლეგალურად ემგზავრათ ნებისმიერ ადგილას ევროპაში. აღნიშნულმა დიდი ტვირთი დაუწესა სხვა წევრ ქვეყნებს, რომლებშიც გადავიდნენ ლტოლვილები, ძირითადად გერმანიაში, მაგრამ ასევე შვედეთში, ავსტრიაში, ბენელუქსის ქვეყნებსა და ფინეთში. აღნიშნული მუქარები წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის ამბიციასთან “ever-closer union” და ინტეგრაციის პროცესთან წევრ სახელმწიფოებს შორის (5).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლტოლვილთა კრიზისი და მისი ეფექტურად გადაჭრის სირთულე ევროკავშირისთვის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს და ნეგატიურ გავლენას ახდენს ევროინტეგრაციის პროცესზე. მან კარგად გამოავლინა თანმიმდევრული და კოორდინირებული მიდგომის ნაკლებობა, ისევე როგორც ხარვეზები მის პოლიტიკურ და სტრუქტურულ მოწყობასა და საბა-



სუხო მექანიზმებში. კერძოდ, აღნიშნულმა პროცესმა გაზარდა უთანხმება წევრ სახელმწიფოებს შორის, დაემუქრა ევროინტეგრაციის ფუნდამენტურ ღირებულებებს და ხელი შეუწყო ანტი-ევროკავშირის სენტიმენტების გავრცელებას, რაც გამოიხატა პოპულისტი ლიდერების გააქტიურებაში.

#### **ლიტერატურა:**

1. Archick K. The European Union: Current Challenges and Future Prospects. Congressional Research Service. 2016, June 16.
2. Mchugh J. How the EU Migrant Crisis is Fueling Right-Wing Politicians and Refugees Policies in Europe. International Business Times. 2015.
3. BBC News. Guide to Nationalist Parties Challenging Europe. Retrieved from BBC News. 2016, May 23.
4. Blockmans S., & Emerson M. Brexit's Consequences for the UK – and the EU. Thinking ahead for Europe. 2016, June 6.
5. A symposium of Views. Is European Integration in Trouble? The Magazine of International Economy. 2015.  
[http://www.international-economy.com/TIE\\_F15\\_EUIntegrationSymp.pdf](http://www.international-economy.com/TIE_F15_EUIntegrationSymp.pdf)
6. Polichryniou C. J. Is European Integration Unraveling? Interview with Noam Chomsky. 2016, January 25.  
<https://chomsky.info/01252016-2/>
7. Murray D. Is the Migration Crisis Killing the European Dream? Gate Stone Institute. 2015, September. <https://www.gatestoneinstitute.org/6448/migration-crisis-europe>

**Nestan Jachvliani, Salome Lomsadze**

#### ***The influence of the ongoing migration crisis on the European integration process***

#### **Summary**

The EU is viewed as a cornerstone of European stability and prosperity. Currently, however, the EU faces a range of political and economic pressures. One of the most significant problems is current migrant and refugee crisis. Large migration flows created many problems for EU member states and markedly influenced the European integration process, which was weakened instead of deepening. The fundamental values the EU project is based on is in question as well. The given article will argue several arguments in order to prove that refugee crisis definitely had negative impact on the European Integration.

**Нестан Джачвлиани, Саломе Ломсадзе**

#### ***Влияние текущего миграционного кризиса на процесс Европейской интеграции***

#### **Резюме**

ЕС рассматривается как краеугольный камень Европейской стабильности и процветания. Однако, в настоящее время, ЕС стоит перед множеством серьезных политических и экономических вызовов. Одна из наиболее существенных проблем - это текущий миграционный кризис. Большие миграционные потоки создали много проблем для государств-членов ЕС и заметно повлияли на Европейский процесс интеграции, который вместо усиления ослаб. Также рассматриваются фундаментальные ценности, на котором основан проект ЕС. Данная статья пытается аргументировать, что миграционный кризис определенно имел отрицательное воздействие на европейскую интеграцию.

**ასმათ არძენაძე**  
(საქართველო)

**კულტურათაშორისი ასიმეტრია მხატვრულ თარგმანში**

ასიმეტრიის შესწავლისას, მხატვრულ თარგმანში, საინტერესოა ასიმეტრიის გამოვლენის საკითხი წყარო ენასა და სამიზნე ენის ლექსიკურ მარაგში, აგრეთვე, კულტურათაშორისი ასიმეტრია, რომელიც განპირობებულია ორი ერის ეთნოკულტურული სპეციფიკითა და ცხოვრების განსხვავებული პირობებით. მხატვრულ ტექსტებში ასიმეტრიის ნაირსახეობები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან (ნ. გონჩარის ტერმინოლოგიით – ეთნოლინგვოკულტურული ასიმეტრია) და ტექსტის ეროვნულ კოლორიტს გამოხატავს.

ასიმეტრიის მოვლენა ნაკლებად არის შესწავლილი ქართული ენის მასალაზე, თითქმის არ არის შესწავლილი კულტურათაშორისი ასიმეტრია თარგმანში. ქართული ენა იმდენად თავისებურია სინტაქსური წყობით, ფონეტიკური შესაძლებლობებით, ლექსიკური მარაგის სიმდიდრით, რომ ასიმეტრია შესასწავლია როგორც ენობრივი სისტემის, ასევე უზუსის (სამეტყველო ნორმის) დონეზე. ამასთანავე, ქართული თარგმანმცოდნეობა ბოლო ათეული წლების განმავლობაში მოექცა რუსული მთარგმნელობითი ტრადიციების გავლენის ქვეშ. ამიტომ, კულტურათაშორისი ასიმეტრიის შესწავლა ინგლისურ-ქართულ ენობრივ წყვილში სიახლეს წარმოადგენს.

ასიმეტრიის ცნება უამრავი სამეცნიერო დისციპლინის ტერმინოლოგიური სისტემების შემადგენლობაში შედის. არაერთმა მეცნიერმა (ვ. გაკი, ნ. გარბოვსკი, ვ. ივანოვი, ს. კარცევსკი და სხვ.) შეისწავლა ასიმეტრიის კატეგორიის ევოლუცია სხვადასხვა მეცნიერებაში და დაადგინა, რომ ასიმეტრია, როგორც ბინარული ოპოზიციის წევრი (სიმეტრია/ასიმეტრია), ზოგადსამეცნიერო ცნებაა, მაგრამ ყველა სფეროში ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით.

ფართო გაგებით, ასიმეტრია ნიშნავს ნებისმიერი ერთეულების სტრუქტურასა და ფუნქციონირებაში ერთგვაროვნების უქონლობას. შინაარსის გადმოცემის ასიმეტრია, რომელიც თარგმანში ვლინდება, ასიმეტრიის ერთ-ერთი საინტერესო გამოვლენაა. თუმცა, მნიშვნელობის ასიმეტრია შეიძლება სხვადასხვა კუთხით იყოს შესწავლილი:

- 1) ენობრივი სისტემის ჩარჩოში ენობრივი ნიშნის თეორიის თვალსაზრისით – შ. ბალი, ვ. გაკი, ს. კარცევსკი, ფ. დე სოსიური;
- 2) მნიშვნელობის ბუნებისა და აღქმის თეორიის თვალსაზრისით – ი. გალპერინი, დ. ლეონტიევი, რ. პავილენისი, გ. ფრეგე;
- 3) შინაარსის გაგებისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით ენისა და კულტურის ურთიერთქმედების ფარგლებში – ვ. კომისაროვი, მ. ლედერერი, ვ. სდობნიკოვა, ა. ფიოდოროვი, ა. შვეიცერი, რ. იაკობსონი.

ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონის ავტორები მიუთითებენ, რომ **ასიმეტრია** წარმოშობით ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს несоразмерность (რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით ([www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)) - არათანაშეზომილებას); აგრეთვე - беспорядочность (რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით ([www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)) – უწესრიგობას, უწესობას, მოუწესრიგებლობას/არეულ-დარეულობას) (5). ლინგვის-

ტიკაში ასიმეტრიის პირველი სისტემური შესწავლა ს. კარცვესკის ეკუთვნის. მის ნაშრომში – „ლინგვისტური ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმის შესახებ“ (1929) – შემუშავებულია ენობრივი ნიშნის ასიმეტრიის თეორია და განხილულია ასიმეტრიის პარადიგმატული დერძი (4). შემდგომში ვ. გაკმა შეიმუშავა ასიმეტრიის გაფართოებული კონცეფცია (1) და განიხილა ის სინტაგმატურ ასპექტში.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ასიმეტრიის უნივერსალური ხასიათი გააზრებულია ლინგვისტიკის ყველა დონეზე (ფონოლოგია, ლექსიკოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი და სხვ.) და სხვადასხვა ენის საფუძველზე. ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონის ავტორები თვლიან, რომ ენობრივი ასიმეტრია ორ მნიშვნელოვან ფენომენში გამოიხატება:

1) ბირთვისა და პერიფერიის განსხვავებაში;

2) აღმნიშვნელისა და აღსანიშნავის განსხვავებაში (5, 47).

ორივე მითითებული ფენომენი მრავალფეროვანია და მოიცავს ასიმეტრიის გამოვლენის კონკრეტული ფორმების ფართო სპექტრს.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ასიმეტრიის ყველაზე საინტერესო გამოვლენა ენათაშორის დონეზე ხდება. ის განპირობებულია თითოეული ენობრივი სისტემისა და სტრუქტურის თავისებურებით, გარე სამყაროს თავისებური ხედვით. ამიტომ თარგმნისას ბილინგვ მთარგმნელს აუცილებლად აქვს საქმე ე.წ. ინტერფერენციასთან, რომელიც წარმოადგენს ერთი ენის გავლენას (ძირითადად უარყოფითს) მეორე ენაზე ორენოვნობის პირობებში. ეს მოვლენა მთარგმნელობით ინტერფერენციასთან შედარებით უკეთ არის შესწავლილი.

მოცემული საკითხი რთულ პრობლემას წარმოადგენს თარგმანმცოდნეობაში, ვინაიდან, როგორც ვ. მუნენი აღნიშნავდა, „თარგმანი ბილინგვიზმის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს... მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ორი ენის კონტაქტი და ამიტომ მოსალოდნელია ინტერფერენცია, თარგმანი ენების კონტაქტის ისეთ იშვიათ სიტუაციას წარმოადგენს, როდესაც მიმდინარეობს ორგანიზებული და შეგნებული ბრძოლა ამ კონტაქტის მოსალოდნელ შედეგებთან. ბილინგვი-შუამავალი ცდილობს ყველანაირად დაიცვას და არ დაარღვიოს ენობრივი ნორმა, ებრძვის ყველანაირ ინტერფერენციას“ (2, 317-318).

6. გარბოვსკის აზრით, თარგმნის, როგორც ორენოვანი კომუნიკაციის ნაირსახეობის, განსაკუთრებული ხასიათი იმაში მდებარეობს, რომ თარგმანი მისი არსით მეორეულია, ის სამეტყველო აქტია, რომლის მიზანია არა სამეტყველო ნაწარმოების შექმნა, არამედ უკვე წყარო ენაზე არსებული სამეტყველო ნაწარმოების აღდგენა სამიზნე ენის მეშვეობით. ამიტომ მთარგმნელი რთულ სიტუაციაში ჩნდება - ორი განსხვავებული ენობრივი სისტემისა და უკვე მატერიალურად გამოხატული შეტყობინების წინაშე. ამავედროულად მთარგმნელი ორი კულტურის კონტაქტის პირობებშია, ამიტომ გარდამავალია ენათაშორისი და კულტურათაშორისი ასიმეტრიის გამოვლენის შემთხვევები (2, 320).

აქ გარკვეულ პარადოქსს აქვს ადგილი. გარბოვსკი კიდევ ერთხელ აფრთხილებს დამწყებ მთარგმნელს, რომ წყარო ტექსტის ავტორი ქმნის რეალობის აღქმის შედეგად შექმნილ მოდელს. ეს მოდელი (ტექსტი) მისი ინდივიდუალური შემეცნებისა და შემოქმედების შედეგია, შუამავალი კი ზუსტად ამ მოდელს თარგმნის და არა თვით რეალურ სამყაროს. ამის დავიწყება უხეშ შეცდომამდე მიგვიყვანს, თანაც ყველაზე უხეშში შეცდომები მაშინ იჩენს თავს, როდესაც მთარგმნელი ცდილობს რაც შეიძლება ზუსტად გადმოსცეს წყარო ტექსტის ცალკეული ელემენტები და ავიწყდება, რომ რეალური სამყაროს ფრაგმენტს კი არ თარგმნის, არამედ ავტორის მიერ წარმოდგენილ სამყაროსთან აქვს საქმე. წყარო ენისა და

სამიზნე ენის, წყარო კულტურისა და სამიზნე კულტურის ცრუ ეკვივალენტობა ატყუებს მთარგმნელს, იქმნება ასიმეტრია, რომელსაც ნ. გარბოვსკი გებულობს როგორც „პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის კონფლიქტს, წყარო ტექსტის ავტორის ინდივიდუალური კულტურისა და ზოგადი კულტურის შეჯახებას“ (2, 321).

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი ენებისა და კულტურების ასიმეტრიის შედეგად შინაარსობრივი ასიმეტრიის გამოვლენაა. ვიზიარებთ ვ. გონჩარის აზრს ასიმეტრიის ბუნებაზე და ვთვლით, რომ მხატვრულ ნაწარმოებებში მოიპოვება ასიმეტრიის სამი ძირითადი ტიპი:

1) ენათშორისი ასიმეტრია – ერთმანეთს არ ემთხვევა ან ლაკუნარულ ხასიათს ატარებენ წყარო ენისა და სამიზნე ენობრივი სისტემების ცალკეული ერთეულები;

2) კულტურათაშორისი ასიმეტრია – ერთმანეთს არ ემთხვევა ან ლაკუნარულ ხასიათს ატარებენ წყარო კულტურისა და სამიზნე კულტურის ცალკეული ელემენტები და წეს-ჩვეულებები;

3) ეთნოლინგვოკულტურული ასიმეტრია – თარგმნის პროცესში ერთდროულად იჩენს თავს ენათშორისი და კულტურათაშორისი ასიმეტრიის მოვლენები.

ვინაიდან ქართულ მხატვრულ თარგმანში ასიმეტრიის მოვლენა არ არის შესწავლილი, ვეცდებით შეძლებისდაგვარად განვიხილოთ ასიმეტრიის სხვადასხვა ტიპი და დავახასიათოთ მათი თავისებურება ჩვენ მიერ გაანალიზებული ემპირიული მასალის საფუძველზე.

ბოლო დროს კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემებს ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა, ვინაიდან კულტურული განსხვავებების გამო, ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხსაც კი უჭირს ერთმანეთის გაგება. ადამიანები ყოველთვის ვერ ამყარებენ წარმატებულ კომუნიკაციას. მთარგმნელები აღიქვამენ უცხო კულტურის მოვლენებს მათი მშობლიური კულტურის პრიზმაში, ამიტომ ხშირია შემთხვევები, როდესაც უცხო კულტურის წეს-ჩვეულებებს მთარგმნელი აღწერს როგორც ნათარგმნი კულტურის წარმომადგენლის თვალთ დანახულს. ინფორმაციის დამახინჯება და სხვადასხვა დონის უზუსტობა ამ შემთხვევაში გამოწვეულია სამყაროს ენობრივი და კულტურული სურათების ასიმეტრიით.

სამყაროს სურათი, როგორც აღნიშნავდა ჰუმბოლდტი, გაგების განსაკუთრებული წრეა, რომლიდანაც გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ ახალ წრეში შესვლით (3, 153).

ენა წარმოადგენს კულტურის შემადგენელ ნაწილს და მის იარაღს. ის არის ჩვენი სულის რეალობა, კულტურის ძახილი, ის გამოხატავს ეროვნული მენტალიტეტის სპეციფიკურ მახასიათებლებს. ლევი-სტროსი ამბობს, რომ ენა ერთდროულად არის კულტურის პროდუქტი, მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და კულტურის არსებობის პირობაც. უფრო მეტიც, ენა წარმოადგენს კულტურული კოდების ჩამოყალიბების სპეციფიკურ ფაქტორს.

ენათშორისი და კულტურათაშორისი ასიმეტრია თავს იჩენს თარგმანმცოდნეობის ნებისმიერ მიმართულებაში და სხვადასხვა ტიპის ტექსტებში, თუმცა მაქსიმალურად გამოიხატება მხატვრულ ნაწარმოებებში და, შესაბამისად, მხატვრულ თარგმანში. თანაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ ხშირია ენათშორისი და კულტურათაშორისი ასიმეტრიის შემთხვევები, ზოგჯერ შესასწავლი მოვლენის ორივე სახეობა შერწყმულია ერთ ტექსტურ ერთობლიობაში და ეთნოლინგვოკულტურულ ასიმეტრიას წარმოადგენს.

ო. ჰენრის ნოველების (მოსკოვი – 1975, 1988 წწ.) თარგმნისას რუსულ ენაზე [მთარგმნელები – მ. ლორიე (1988) და ა. ნიკსტი (1975)] და ქართულ ენაზე (მთარ-

გმნელი – მ. ნათაძე, 1975) ეთნოლინგვოკულტურული ასიმეტრიის უამრავ შემთხვას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან ეს სამი სამყარო ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ცხოვრების წესით, გარემოთი, ტრადიციებითა და სხვ.

ასიმეტრიის დაძლევის ყველაზე მნიშვნელოვან ხერხად მეცნიერები აღიარებენ პრაგმატულ ადაპტაციას, როდესაც მთარგმნელი აკეთებს გათვლას იმაზე, რომ ახალ მკითხველს გააჩნია სხვა ფონური ცოდნის მარაგი, ამიტომ ის საჭიროებს ე. წ. გადამისამართებას, რაც შესაძლოა გაუგებარი იყოს ნათარგმნი ტექსტის მკითხველისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია კომუნიკაციური თვალსაზრისით. ის უნდა იყოს ახსნილი ტექსტში.

პირველ რიგში, ეს გეოგრაფიულ რეალიებს ეხება, რომლებიც წყარო ტექსტის მკითხველების აზროვნებაში დამატებითი მნიშვნელობის მატარებელია. მაგალითად:

He has been denied the spectacle of a busy Manhattan broker during a rush of business is handicapped for the profession of anthropology –

ვისაც საქმეების ნიაღვარში მოქცეული მანჰეტენის მაკლერი არ უნახავს, არ გამოდგება ანტროპოლოგად.

Кто не видел занятого Нью-Йоркского маклера в часы биржевой лихорадки, тот не может считать себя знатоком в антропологии.

რუსმა მთარგმნელმა გამოიყენა მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია – ნაცვლად Manhattan, გენერალიზაციის შედეგად ვკითხულობთ – Нью-Йоркского маклера (მანხეტენი წარმოადგენს ნიუ-იორკში საქმიან უბანს).

იმ შემთხვევაში, როდესაც ასიმეტრიას ლაკუნარული ხასიათი აქვს (ანუ ლაკუნას წარმოადგენს), გამოიყენება ახსნა-განმარტებითი თარგმანი, პერიფრაზი, მაგრამ თუ წყარო-ტექსტის ეთნოკულტურულ ნიუანსს მსგავსი რამ გააჩნია სამიზნე ენაში და კულტურაში, მაშინ სახეზეა მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები.

წარმოუდგენელია, რომ ნ. დუმბაძის მოთხრობებისა და რომანების თარგმნის დროს უცხო მკითხველს ყოველთვის აუხსნან, რას წარმოადგენს ქართული კულტურის ისეთი სპეციფიკური მოვლენები და ერთეულები, როგორებიცაა:

შენი ჭირიმე, გენაცვალე, ჩურჩხელა, საცივი, გურული ხუმრობა და სხვ.

საინტერესოა არა ეთნოლინგვოკულტურული ასიმეტრიის შემთხვევების ჩამონათვალი, არამედ მათი ტრანსფორმაცია და ფუნქციონირება სამიზნე ტესტში. ზოგჯერ ამერიკული რეალიები ო. ჰენრის ნაწარმოებებიდან მსგავსი ფორმით გადადიოდა რუსულ და ქართულ ენებში:

I am old Hank, Trapper, Red Chief's captive.

Я старый охотник Хенк, пленник Вождя Краснокожих.

მე ბებერი ჰენკი ვარ, «მონადირე», წითელკანიანი ბელადის ტყვე.

მაგრამ განსხვავებულ მთარგმნელობით ხერხებსაც აქვს ადგილი:

Есть там городишко, плоский, как блин, и, конечно, называется «Вершины».

There was a town down there, as flat as flannel – cake, and called Summit, of course.

იმ მხარეში იყო ერთი პატარა ქალაქი, ლავაშივით ბრტყელი, რომელსაც,

რასაკვირველია, «სამიტი» ერქვა.<sup>11</sup>

რუსულ ტექსტში რუსულ ბლინს ადარებენ სიბრტყეს, ქართულ ვარიანტში კი – ლავაშს. თუმცა, ასეთი ტრანსფორმაციები იშვიათობას წარმოადგენს, ხშირია ახსნა-განმარტების გამოყენება:

And his neat black, ready-tied four-in-hand had been presented to him by a lady

<sup>11</sup> *სამიტი ინგლისურად ნიშნავს გორაკს.*

missionary on Thanksgiving Day.

Красивый черный галстук бабочкой ему подарила в День Благодарения (День Благодарения официальный американский праздник, который проводится в последний четверг ноября).

Sue found Behrman smelling strongly of juniper berries in his dimly lighted den below.

Сью застала Бермана, сильно пахнущего можжевельновыми ягодами, в его полутемной комнате нижнего этажа;

ღვიის სურნელებით გაჟღენთილი ბერმანი სიუს თავის ჩაბნელებულ ბუნაგში დაუსვდა.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მთარგმნელს არ უნდა უმტყუნოს ზომიერების გრძნობამ, რათა პატარა ნოველა არ გადაიზარდოს დიდ და მოუქნელ ნაწარმოებში.

ემპირიული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ენობრივი ასიმეტრიის შემთხვევები მხატვრულ თარგმანში გარკვეულწილად დამოკიდებულია ორი ენობრივი სისტემის ფარგლებში თარგმნის მიმართულებაზე. თუ წყარო ტექსტი ინგლისურია (ჩვენ შემთხვევაში ეს იყო ძირითადად ო. ჰენრის მოთხრობები), ქართლ ენაზე თარგმნისას ბევრი საყოველთაოდ ცნობილი ტოპონიმი, ონიმა არ ითხოვს ასხნაგანმარტებას. როდესაც ვთარგმნით ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე, ქართული კულტურის რეალიები და პერსონალიები ნაკლებად ან საერთოდ უცნობია ინგლისურენოვანი აუდიტორიისთვის, ამიტომ ითხოვს სამიზნე ტექსტში ჩაშლას.

ზემომოყვანილი მასალა რომ შევაჯამოთ, აღსანიშნავია, რომ ენათშორისი და კულტურათაშორისი ასიმეტრიის შემთხვევები მხატვრულ თარგმანში გადმოიტანება მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების მდიდარი ნაირსახეობებით. ჩვენი ანალიზის ფოკუსში, პირველ რიგში, ლექსიკური ტრანსფორმაციები მოექცა.

### **ლიტერატურა:**

1. Гак В. Г., Об использовании идеи симметрии в языкознании / В. Г. Гак // Лексическая грамматическая семантика романских языков. Калинин, 1980.
2. Гарбовский Н. К., Теория перевода. М., 2004.
3. Гумбольдт Вильгельм фон, Избранные труды по языкознанию, 1984.
4. Карцевский С., Об асимметричном дуализме лингвистического знака // В кн.: Звегинцев В. А., История языкознания XIX-XX веков в очерках и извлечениях. М., 1965.
5. Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990.
6. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
7. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)

### **Asmat Ardzenadze** ***Intercultural asymmetry of fiction translation*** **Summary**

In the study of the asymmetry of the fiction translation there is an interesting question to identify vocabulary asymmetries in the original and the translation. Moreover, the object of attention of researchers has already been a question of intercultural asymmetry for a long time. This topic is due to the ethno-cultural characteristics and different conditions of life of the peoples. In

literary texts, this kind of asymmetry is closely interrelated and reflected in the national character of the text.

The problem of the asymmetry of a literary text is insufficiently known on the material of the Georgian language and almost has not been investigated in the translation aspects of intercultural asymmetry.

**Аснат Ардзендзе**  
***Межкультурная асимметрия в художественном переводе***  
**Резюме**

При изучении асимметрии в художественном переводе интересен вопрос выявления асимметрии словарного запаса в оригинале и переводе. Кроме того, объектом внимания исследователей давно уже стал вопрос межкультурной асимметрии. Данная тема обусловлена этнокультурной спецификой и разными условиями быта народов. В художественных текстах эти разновидности асимметрии тесно взаимосвязаны и отражают национальный колорит текста.

Проблема асимметрии художественного текста является малоизученным на материале грузинского языка и почти не исследованы переводческие аспекты межкультурной асимметрии.

**Медея Имнадзе**  
(Грузия)

## **ОСОБЕННОСТИ МЕЖКУЛЬТУРНОЙ КОММУНИКАЦИИ В ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ МОРЯКОВ**

Со второй половины двадцатого века интенсивно исследуются важнейшие направления теории коммуникации, среди которых одним из важнейших, безусловно, является межкультурная коммуникация в профессиональной сфере. Несмотря на то, что сам термин появился чуть более полувека, в связи с постоянным ростом и расширением межкультурных контактов возрастают требования, предъявляемые к специалистам различного профиля в области владения навыками межкультурной деловой коммуникации.

Трудно переоценить роль профессиональной деятельности моряков в мировом сообществе. Морской транспорт зависим от компетентных, хорошо подготовленных моряков, которые обеспечивают безопасность человеческой жизни на море, морскую безопасность, эффективность навигации, защиту и сохранность морской среды. Не удивительно, что Международная морская организация (ИМО) систематически работает над совершенствованием пакета документов, регулирующих нормативно-правовую систему морской профессиональной деятельности. В июне 2010 г. на дипломатической конференции в Маниле был принят ряд поправок к Международной конвенции о подготовке, дипломировании моряков и несении вахты 1978 г., известной как конвенция ПДНВ, и связанному с ней кодексу, более поздний вариант Конвенция ПДМНВ-95. По инициативе Генерального секретаря ИМО Кодзи Секимидзу по данным поправкам был подготовлен документ, отражающий внесенные изменения, анализ которого позволяет утверждать, что в нем предусмотрены профессиональные стандарты и требования к уровню подготовки морских кадров, скрупулезно перечислены требования к несению вахты, очерчена система взаимоотношений с портами – представителями других государств, но недостаточно раскрыты особенности межкультурной компетенции, являющейся, по нашему глубокому убеждению, важнейшей составляющей профессиональной компетенции моряков.

В вышеупомянутом документе есть только один пункт, касающийся владения английским языком, а также в разделе «Для персонала, работающего на пассажирских судах на международных линиях» указаны два сертификата, в какой-то мере относящиеся к навыкам межкультурного общения:

- 1) Подготовка по управлению толпой.
- 2) Подготовка по управлению в кризисных ситуациях и поведению людей (6).

Между тем, практика межкультурного общения в интернациональных морских экипажах, зависимость успешной профессиональной деятельности от эффективности коммуникации, знание специальной морской терминологии и фразария клишированных единиц, в частности, весьма лаконичных команд, умение найти общий язык с представителями разных культур и пр. – все это требует формирования определенного уровня межкультурной компетенции у студентов морских вузов. Современные специалисты, независимо от их специализации, должны быть готовы к непосредственному общению с коллегами, принадлежащими к иным культурам. Основной целью межкультурного общения должно быть не только установление контакта с иноязычным партнером, но и достижение взаимопонимания между инокультурными коммуникантами (специалистами в той или иной области профессиональной деятельности) в процессе их непосредственного или опосредованного общения.

Межкультурная компетенция – это «стабильная способность к эффективному и адекватному общению с представителями других культур» (1, 147).



По мнению З. К. Сабитовой, к критериям межкультурной компетенции относятся:

- 1) знание национальных особенностей культуры;
- 2) умение ориентироваться в неоднозначных, быстро меняющихся условиях (2, 396).

Следовательно, межкультурная компетенция представлена языковой (речевой) компетенцией и поведенческими навыками общения с инокультурными коммуникантами.

Среди источников конфликтов в межкультурной коммуникации чаще всего указывают две ошибки:

1) Неадекватное истолкование партнером информации, заложенной в невербальном знаке, так как в его культуре данный сигнал не играет большой роли. Например, недопустимы во время разговора прикосновения к японцам, а также прямой взгляд в глаза собеседнику.

2) Неверная интерпретация партнером невербального символа в силу того, что в его культуре данному знаку приписывается другое значение. Например, у американцев, итальянцев, палец,двигающийся из стороны в сторону, может обозначать легкое осуждение, угрозу или призыв прислушаться к тому, что сказано, а в Голландии он сигнализирует об отказе (1, 176).

В настоящее время проводятся интенсивные междисциплинарные исследования межкультурной коммуникации, по мнению М. Клайна, известные постулаты П. Грайса можно применить для гармонизации межкультурного общения. Он предлагает следующую корректировку этих правил:

- правило количества: формулируй высказывание по возможности информативно, соблюдая при этом правила дискурса и нормы данной культуры;

- правило качества: формулируй высказывание таким образом, чтобы ты мог защитить его в плане соответствия нормам твоей культуры; не говори того, что ты недостаточно хорошо знаешь;

- правило модальности: не усложняй взаимопонимание более, чем это требуют интересы «сохранения лица», избегай двусмысленности, даже если она необходима из соображений вежливости, формулируй высказывания такой длины, которая диктуется целью разговора и дискурсивными правилами культуры, структурируй высказывания в соответствии с правилами культуры (5, 32).

Для улучшения и дальнейшего совершенствования межкультурной коммуникации М. Клайн добавляет ряд правил к существующим максимам Г. Грайса:

- учитывай в своем высказывании все то, что ты знаешь или можешь предположить о коммуникативных ожиданиях своего собеседника;

- проясни свои коммуникативные цели настолько, насколько это допускают правила вежливости (5, 34).

Основой диалога культур является отношение к другой культуре как к равноправной, равноценной, при всех ее отличиях и интересной, нужной, желанной именно в ее непохожести, в ее уникальности» (4, 213).

Деловое общение представителей одной профессии помимо общих закономерностей межкультурного общения характеризуется и рядом специфических особенностей. Е.Н.Зарецкая, исследуя жанры устной деловой речи, выделяет монологическую речь, к которой относит ораторское мастерство, риторический менеджмент, презентацию, и диалогическую речь, включая в нее: искусство спора, стратегию и тактику ведения переговоров и интервью (3, 145).

Деловое общение, по мнению Е. Н. Зарецкой, – это любая профессиональная коммуникативная форма деятельности (чаще всего – речевая), лежащая в сфере, которая определяется ответом на четыре вопроса:

- 1) Для чего мы говорим?

- 2) Что мы хотим сказать?
- 3) Какими средствами мы это делаем?
- 4) Какова реакция на нашу речь?

Ответ на первый вопрос определяет цель речи, т.е. ее мотивацию, которая лежит в основе любого поступка, в частности, коммуникативного; ответ на второй – замысел будущей речи, т.е. конкретизирует информацию, которую говорящий передает собеседнику и которая сама по себе определяет тактику воздействия на тех людей, без которых невозможна реализация цели; на третий – конкретную форму текста (устная или письменная); на четвертый – уровень адекватности реакции слушателей или читателей на поставленную говорящим цель (3, 5).

Таким образом, обзор научной литературы и документов, регулирующих уровень профессиональной компетенции моряков, свидетельствует о необходимости всестороннего исследования особенностей профессиональной межкультурной коммуникации, являющейся важнейшей составной частью общей профессиональной компетенции моряков.

### ***Литერატურა:***

1. Рот Ю., Коптельцева Г., Межкультурная коммуникация. Теория и тренинг. М., 2006.
2. Сабитова З. К., Лингвокультурология. М., Наука, 2015.
3. Зарецкая Е. Н., Деловое общение. М., 2002.
4. Каган М. С., Мир общения: Проблемы межкультурных отношений. М., 1988.
5. Clyne M. Inter-cultural Communication at Work: Cultural Values in Discourse. Cambridge. 1994.
6. [http://www.bro.sp.ru/conven/STCW\\_guide\\_russian.pdf](http://www.bro.sp.ru/conven/STCW_guide_russian.pdf)

### **მედია იმნადე კულტურათა შორისი კომუნიკაციის თავისებურებანი მეზღვაურთა პროფესიულ საქმიანობაში რეზიუმე**

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ინტენსიური კვლევის საგნად იქცა კომუნიკაციის თეორიის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები, რომელთა შორისაც არის პროფესიულ სფეროში კულტურათა შორისი კომუნიკაცია. სტატიაში გააანალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა პორტში გემის ეკიპაჟის და პოლიკულტურული ეკიპაჟის წევრებს შორის კულტურათა შორისი კომუნიკაციის თავისებურებანი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მულტიკულტურულ გარემოში სამეტყველო კომპეტენციის შესწავლას, რომელიც მეზღვაურის პროფესიული კომპეტენციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

### **Medea Imnadze *Peculiarities of the cross-cultural communication in sailors' professional environment* Summary**

The end of the 20<sup>th</sup> century was remarkable period for the theory of communication: a number of communication-related aspects became the focus of the close study by the scientists, thereof one of the most crucial issue is the cross-cultural communication in the professional environment. The article analyses the peculiarities of the cross-cultural communication involving the hip crew staying in ports all over the world and the communication among the multicultural crew members. Special focus is made on the analysis of the communication competence as it is the building block for sailors' professional competence.

ნანა ჯანაშია  
(საქართველო)

სარეკლამო განცხადებები „ახალი ივერიის“ ფურცლებზე  
(№1-45, 1914 წ.)

რეკლამის დარგის პიონერად წოდებულმა კლოდ ჰოპკინსმა პირველმა თქვა, რომ იქ, სადაც არის წარმოება, აუცილებელია რეკლამის არსებობაც. მან რეკლამას პირველმა უწოდა მეცნიერების დარგი და წიგნებში „ჩემი ცხოვრება რეკლამაში“ და „სამეცნიერო რეკლამა“ აღნიშნა, რომ სარეკლამო ტექსტის დაწერამდე აუცილებელია თემის და პროდუქციის ღრმად შესწავლა, ტექსტი კი ლაკონური უნდა იყოს და ემოციური ელფერი არ უნდა დაჰკრავდეს.

ბრიუს ბარტონის (სოლიდური და წარმატებული ამერიკული სააგენტო BBDO-ს დამფუძნებელი) ფორმულირებით, კარგ სარეკლამო ტექსტს სამი რამ სჭირდება: ლაკონიურობა, უბრალოება და გულწრფელობა. ბარტონმა ჩამოაყალიბა კოპირაიტინგის (კოპირაიტინგი – სარეკლამო ტექსტის შექმნის ხელოვნება) შემდეგი პრინციპები: „საქონელი კი არ უნდა გაყიდოთ, არამედ მასზე მოთხოვნილება უნდა გაყიდოთ!“, „გახდი ექსპერტი შენს სფეროში!“, „თქვენს ტექსტებს გრძნობები შესძინეთ!“, „იყავით გაბედულები და გამომწვევები!“ „მომხმარებელთან იყავით გულწრფელები და პატიოსნები“, „გაყიდვის ტექსტები სრულყოფილებამდე მიიყვანეთ“.

რეკლამის ანუ კოპირაიტინგის სფეროს მსოფლიოში აღიარებული 20 საუკეთესო წარმომადგენელი ჰყავს, ესენი არიან: ალბერტ ლასკეპი, ბრიუს ბარტონი, ჰარი ბენსიენგი, ჰერი ჰელბერტი, ჯეი აბრაჰამი, ალექს ოსბორნი, ჟოზეფ შუგერმანი, ჯონ კარლტონი, ჯეიმს იანგი, ჯონ კეილზი, ჯონ პაუერზი, ჯორჯ გრიბინი, დენ კენედი, დევიდ ოგლივი, კლოდ ჰოპკინსი, ლეო ბარნეტი, რაიმონდ რუბიკამი, როსერ რიუზი, უილიამ ბერნბახი, ევგენი შვარცი.

ამერიკელი ჟურნალისტის ალექს ოსბორნის კრეატიული მეთოდის „გონებრივი იერიშის“ (1942 წ.) და წიგნის „სარეკლამო კარის საიდუმლოებანი“ ავტორის დევიზია: „რაც უფრო მეტს ეცდებით - მით უფრო გაზრდით მიზნის მიღწევის ალბათობას“. სარეკლამო საქმის გენიოსად წოდებული დევიდ ოგლივი კი ამბობდა, რომ: „მყიდველი სულაც არ არის იდიოტი და შესაძლოა, ის თქვენი კანონიერი მუდღეუც იყოს“; „მოსაწყენი საქონელი არ არსებობს, მოსაწყენი შეიძლება, რომ რეკლამა იყოს“.

ა. ოსბორნს მიაჩნდა, რომ „რაც უფრო ძვირია ნივთი, მით უფრო ძვირფასი და სასურველი ხდება ის მყიდველისათვის“. ამერიკელმა პუბლიცისტმა ვენს პაკარდმა კი რეკლამის შესახებ თქვა: „ესაა ხელოვნება დაუმიზნო თავში და მოარტყა საფულეში“.

პირველი ბეჭდური სარეკლამო განცხადება 1473 წელს გამოჩნდა ინგლისში. პირველი სარეკლამო ბიუროც 1611 წელს მანდ, ლონდონში შეიქმნა (ა. გორაუისა და უ. კოპის ბიურო). პირველი ქართული რეკლამა 1861 წელს გაზეთ „გუთნის დედაში“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა. ეს იყო „დღეში ცხრა თუნგის მომწველი ფლამანდრული ძროხის“ რეკლამა ამ ძროხის ნახატიურთ. სწორედ ეს ძროხა ითვლება ქართული პრესის პირველ სარეკლამო სახედ. სატელევიზიო რეკლამა კი სა-

ქართველოში პირველად 1950-იანი წლების ბოლოს გავიდა და ეს იყო ჯემის რეკლამა ტელეწამყვან ჟანეტა არჩვადის მონაწილეობით.

რეკლამა რომ ბრენდის წარმატების გარანტია, კარგად იცოდნენ 1910-იანი წლების საქართველოშიც. ამაში დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ იმ წლების პრესას.

1914 წლის 28 სექტემბერს ქ. ქუთაისში ყოველდღიური გაზეთი „ახალი ივერია“ გამოვიდა. მისი რედაქტორი და გამომცემელი იყო ბ. დარახველიძე. აქ მიმოხილულია 1914 წლის „ახალი ივერიის“ 45 ნომერში გამოქვეყნებული სარეკლამო განცხადებები.

გაზეთის პირველი ნომრის პირველი გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს სარეკლამო განცხადებებს. მხოლოდ სარდაფის მარჯვენა კუთხე ეთმობა ინფორმაციას პირველი მსოფლიო ომის შესახებ.

პირველი სარეკლამო განცხადება ეკუთვნის „ახალი ივერიის“ რედაქციას. მასში ნათქვამია, რომ „საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ახალი ივერია“ 28 სექტემბრიდან გამოვა ყოველდღე“. შემდეგ საუბარია გაზეთის გამოწერაზე და მითითებულია ფასები: „1 წლით – 7 მანეთი; 6 თვით – 4 მანეთი; 3 თვით – 2 მანეთი და 10 შაური; 1 თვით – 4 აბაზი. ხოლო მათ, ვისაც სურს საზღვარგარეთ მიიღონ ეს გაზეთები, ორჯერ მეტის გადახდა მოუწევთ“. ამ განცხადების ბოლოს მითითებულია რედაქციის მისამართიც: „ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი ოცხელისა“. ასევე ის, რომ მსურველებმა ფული ან რუსულ მისამართზე უნდა გამოგზავნონ: Кутаись, редакция „Ахали Иверия“, ან რედაქციის „კანტორაში“ უნდა დატოვონ. გარკვევითაა დაბეჭდილი „კანტორის“ სამუშაო საათებიც. „ახალი ივერიის“ ყველა ნომრის პირველი გვერდების ზედა, მარჯვენა კუთხეებში მუდმივად არის სარეკლამო განცხადებების ფასების მაუწყებელი შემდეგი შინაარსის ჩარჩო: „ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ., 2 საათის შემდეგ 4 მან“.

პასკევიჩის ქალაქი და „ვეფხვის ტყაოსანი“ ყრმათათვის რუსულად გაზეთის პირველ ნომერში განთავსებულ „მთავრიშვილის წიგნისა და საკანცელარიო ნივთების“ მაღაზიის რეკლამაში ნათქვამია, რომ „მაღაზიას დამზადებული აქვს დიდძალი სახელმძღვანელო ქუთაისის გუბერნიის საშუალო და დასაწყის სასწავლებელში სახმარი, აგრეთვე საკითხავი წიგნები, რუსეთსა და კავკასიაში გამოცემული... იყიდება საუკეთესო ღირსების ქალაქის რვეულებიც“ და „ბითუმად მყიდველს ფასი დაეთმობა მორიგებით“.

„ოცხელის წიგნის მაღაზიის“ რეკლამაში კი ჩამოთვლილია ის წიგნები, რომლებიც გაყიდვაშია და ნათქვამია, რომ „მაღე გამოვა დასურათებული „ვეფხვის ტყაოსანი“ რუსულ ენაზე „ყრმათათვის“, რომელიც შედგენილია ქართული სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ“. რეკლამიდან ვგებულობთ, რომ ოცხელს, წიგნის მაღაზიის გარდა, საწყობიც ჰქონია და მანდ „ძლიერ იაფათ“ ჰყიდის საკანცელარიო საქონელს რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან.

„კურსები ორივე სქესისთვისა“ და ბებიქალი კოხრეიძე „აბრამიანცის საბუღალტრო კურსების“ სარეკლამო განცხადებაში ნათქვამია, რომ კურსები „ორივე სქესისთვისა“ და 4 თვე სწავლობენ: „მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით“.

სამედიცინო სფეროს პირველი სარეკლამო განცხადება ეკუთვნის ექიმ ბოკერიას, რომელიც იუწყება, რომ „ექიმი ივ. ბოკერიას საავადმყოფო გადავიდა ახალ

ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავადმყოფებს დებულობენ ყოველ დროს“.

ზემოთ განხილული რეკლამები განთავსებულია გაზეთის პირველი ნომრის პირველ და მეორე სვეტებში. გაზეთის მესამე სვეტი იმ ექიმების მომცრო ზომის ცხრა განცხადებას ეთმობა, რომლებიც ხალხს „ხელოვნური კბილების“ გაკეთებას, ვენერული სნეულებებისგან განკურნებას, ნერვული ავადმყოფობების მკურნალობას და ა.შ. ჰპირდებიან. ბებიაქალი მ. კოსრეიძე კი იმით არის გამორჩეული, რომ „ახალი ივერიის“ 45-ე ნომერში აქვეყნებს სარეკლამო განცხადებას და აცხადებს, რომ „უცრის ყვაილს, უკეთებს ნემსებს, ესმარება მშობიარეთ და აძლევს ავამყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს... დარიგებს უფასოთ ესმარება“. ბებიაქალის ეს სარეკლამო იერიში საზოგადოებაზე გვახსენებს კრეატიული მეთოდის „გონებრივი იერიშის“ ავტორად წოდებული ამერიკელი ჟურნალისტის ალექს ოსბორნის (1888-1966 წწ.) დევიზს: „რაც უფრო მეტს ეცდებით - მით უფრო გაზრდით მიზნის მიღწევის ალბათობას“. ეტყობა, ქუთაისელმა კოსრეიძის ქალმა ოსბორნზე ადრე იცოდა ამ მეთოდის შესახებ და მიზნის მისაღწევად სარეკლამოდ გაღებული თანხა არ ენანებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განცხადებების ავტორი 9 ექიმიდან 8 ქართველია, მხოლოდ ერთი გახლავთ რუსული გვარით (რეჟოვი).

#### **სარეკლამო ადგილის მნიშვნელობის ცოდნა**

ნამდვილ ბიზნესმენს კარგად ესმის, რომ არის ისეთი რამ, რაც ბაზარზე არ იყიდება: სიყვარული, პატიოსნება, სინდისი. საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ ბიზნესს მეტწილად უბიძგებს საზოგადოებრივი აზრი, სოციალური გარემო, კანონმდებლობა და თამაშის ახალი წესები. ადამ სმიტის „უხილავი ხელი“ ახალ საფეხურზე ავიდა. საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ სასარგებლო ფაქტორად უნდა ჩაითვალოს, რომ „დროება ბიზნესის ჰუმანიზაციის მიმართულებით იცვლება“ (2, 268). იგი გამოდის ბიზნესის საზოგადოებრივი სარგებლიანობის აღიარებამდე, რომლის ფუნდამენტური შემადგენელი ბლოკია გაცვლა, გარიგება, ყიდვა-გაყიდვის აქტი. თავისთავად, გაცვლა არაფერს არ აწარმოებს, მაგრამ მის გარეშე ვერავითარი შრომა ვერ იქნება აღიარებული საზოგადოებრივ შრომად, ამიტომ გარიგება, რომელსაც ბიზნესმენისათვის მოგება მოაქვს, ამავე დროს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდაა. ნამდვილი გარიგება მომგებიანია ორივე მხარისთვის. პატიოსანი და ურთიერთსასარგებლო გარიგება – თანამედროვე მეწარმეობის მნიშვნელოვანი ფუნქციაა, სხვა ელემენტებთან შეერთებით იგი წარმოადგენს მეწარმეობის ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოყენებას, რომლის არსი საზოგადოებრივი სამსახურია.

გერმანელი სოციოლოგი მარკ ვებერი, რომელმაც მრავალი წელი მოანდომა მეწარმის ფენომენის გამოკვლევას, მივიდა დასკვნამდე, რომ მისთვის საკუთარი საქმიანობისადმი მოვალეობის გრძნობა უნდა იყოს მამოძრავებელი ძალა. ბიზნესმენები დღეს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ფირმებში, სამუშაო ადგილებზე ახალი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას. ხდება ბიზნესის ჰუმანიზაცია.

ბიზნესმა მიაგნო თავისთვის არც ისე რთულ ჭეშმარიტებას „ძუნწისა მეტი იხარჯება. საზოგადოების სულიერი პოტენციალის განვითარების, სიღარიბის შემცირების გარეშე არ იქნება დიდი მოგება“. არ შეიძლება ვიძუნწოთ ქველმოქმედებაზე. გაანგარიშება აბსოლუტურად სწორი და ეფექტურია: ქველმოქმედებაში ჩადებული ერთი ლარი, ხვალ ორ ლარს დაგვიბრუნებს. დაგვიბრუნებს სოციალური სტაბილურობით, მეცნიერების პოტენციალის ამოქმედებით, კულტურის დონის ამაღლებით, საზოგადოებრივი განწყობილების და სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებით.

ბიზნესში არის ოქროს წესი: იზრუნე შენს კლიენტებსა და პაციენტებზე, ბაზარი კი იზრუნებს შენზე. ამ წესის სამართლიანობას ასეთი ფაქტი მოწმობს: ცნობილმა ამერიკულმა ფირმამ „ჯენერალ მოტორსმა“ ერთხელ 3,5 მლნ დოლარი გაიღო საფოსტო ხარჯებზე და ეს გააკეთა იმისათვის, რომ დროზე გაეფრთხილებინა თავისი ავტომობილების 7 მლნ მფლობელი ძრავის დამაგრებაში შემჩნეული დეფექტის შესახებ. ასე ყალიბდება მწარმოებლის პროფესიული რეპუტაცია, რის შექმნასაც წლები ჭირდება, დაკარგვას კი – წამები.

ცივილიზებული ბიზნესმენი (ან ბიზნესში მომუშავე ადამიანი) დიდ ყურადღებას უთმობს ბიზნესის კულტურას. კულტურული ადამიანი შეიძლება არც იყოს მეწარმე, მეწარმე კი ვალდებულია იყოს კულტურული, თუნდაც იმიტომ, რომ აინტერესებს მუდმივი წარმატება. ეთიკის დევიზი – ვინც პატივს სცემს საკუთარ თავს, შეიძლება ასე გამოიხატოს: მოგება ყველაფერზე მაღლა, მაგრამ პატიოსნება მოგებაზე უფრო მაღლა.

დიდი ბიზნესის ლიდერების ღი იაკოკას, ჯორჯ სოროსის, აკიო მორიტას, ბილ გეიტსის... საქმიანობის მასშტაბები ფანტასტიკას ემიჯნება.

ბიზნესმენობა-ლიდერობა (ბიზნესმენი ხომ ლიდერია საბაზრო ეკონომიკაში), მჭიდროდ არის დაკავშირებული მაღალ ინტელექტთან, გამბედაობასთან, ორატორულ ნიჭთან, სიფხიზღესთან, საკუთარი თავის რწმენასა და დინამიკურობასთან, მოქნილ, ლატერალურ და აბსტრაქტულ აზროვნებასთან, დამოუკიდებლობასთან.

ბიზნესმენმა ყველაზე კარგად იცის, რომ თეორია პრაქტიკის გარეშე ფანტაზიაა, პრაქტიკა თეორიის გარეშე – ქაოსი.

თუ გვინდა, რომ სრულყოფილად წარმოვისახოთ ბიზნესის და ბიზნესმენის ფსიქოლოგიური არსი, სიღრმისეულად უნდა შევიმეცნოთ და გავაცნობიეროთ, რომ: ბიზნესის საფუძველი – საკუთრებითი ურთიერთობაა; ბიზნესი – საბაზრო ეკონომიკის „სულია“; ბიზნესში წარმატების მიღწევა – შანსის გამოყენებაა; ბიზნესმენის მუშაობა – ქაოსში ჰარმონიის შეტანაა.

თანამედროვე ბიზნესმენი პატივს სცემს საკუთარ თავს როგორც პიროვნებას და პატივისცემით ეპყრობა სხვას: საქმიან ურთიერთობებში იხენს მოთმინებას, დელიკატურობასა და ტაქტს. ენდობა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ პარტნიორსაც; დარწმუნებულია, რომ პატიოსნება მოგებაზე მაღლა დგას; აღიარებს კონკურენციის გარდაუვალობას, მაგრამ ესმის თანამშრომლობის აუცილებლობა; აფასებს არა მარტო საკუთარი კომერციული ქმედებების თავისუფლებას, არამედ თავისი კონკურენტების მოქმედების თავისუფლებასაც; შეუძლია და არ ეშინია რისკისა და პასუხისმგებლობას კისრულობს ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ბიზნესმენის ძირითადი იარაღი გახლავთ ნებისყოფა, როგორც ბლეზ პასკალი ბრძანებს: არ არსებობს დიდი ნიჭი დიდი ნებისყოფის გარეშე. ნებისყოფა შეიძლება და უნდა იყოს სიამაყის საგანი უფრო მეტად, ვიდრე ნიჭი.

დიდი ბიზნესის ეკონომიკის სიჯანსაღეზეა პირდაპირ დამოკიდებული ერის შემოსავალი და აყვავება.

როგორც მათემატიკური მეცნიერება ემყარება ურყევ კანონებსა და აქსიომებს, ასევე „საქმიანი მეცნიერება“ მონახავს თავის ურყევ საფუძვლებს. მას ახასიათებს აშკარა ჭეშმარიტებანი, რომლებიც წარმოადგენენ მთელი შენობის მთავარ ბურჯს და მუდამ ურყევია.

ისინი ისევე აუცილებელია საქმიანი ადამიანისთვის, როგორც კომპასი – მეზღვაურისთვის, ნაჯახი – დურგლისთვის, თარაზო – არქიტექტორისთვის (3).

როგორც აღვნიშნეთ მათემატიკა, კერძოდ კი, გეომეტრია, ემყარება აქსიომებს, ვარაუდებსა და განსაზღვრებებს, რომელთა მეშვეობით მტკიცდება თეორემები. ყოველი უტყუარობა იწვევს მეორე უტყუარობას და ამგვარად იქმნება ცნებებისა და ცოდნის დიდი კრებული. მაგრამ „საქმიან მეცნიერებაში“ ასე აღვილი არ არის მოქმედება: ბიზნესში სწორედ რომ მეტისმეტად დიდი რაოდენობის ფაქტორებს აქვს მნიშვნელობა.

საქმე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ სწორი ხაზების, განსაზღვრული კუთხეების და მოცემული ფიგურების სახით, პირიქით, გარემოებები, ადამიანები, მატერიალური და სულიერი ფაქტორები, რომლებიც შეადგენენ ბიზნესს, გამუდმებით იცვლება, არასოდეს არ არის მუდმივი. „საქმიანი მეცნიერება“ გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე გეომეტრია, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის წინსვლაში.

**გთავაზობთ ბიზნესის აქსიომებს**, რომლებიც არა მხოლოდ უნდა წაიკითხოთ და ისწავლოთ, არამედ უნდა ღრმად შეიმეცნოთ, გააცნობიეროთ და საჭიროების მიხედვით გამოიყენოთ:<sup>14</sup>

1. აუცილებელია ორი ადამიანი მაინც იყოს, რომ გააკეთონ ბიზნესი იმისათვის, რომ მეტისმეტად არ ენდოთ საკუთარ თავს.

2. ყოველ საქმეში სამი ელემენტი: მყიდველი, გამყიდველი და საქონელი.

მეცნიერული მეთოდები არ უნდა შემოიფარგლოს ლაბორატორიით, ისინი უნდა გამოიყენოთ კლინიკაშიც, სასწავლებელშიც, დახლზეც, ქარხანაშიც, ბანკშიც და სხვაგან, სადაც საჭირო იქნება მათი გამოყენება.

გაანალიზება – ტერმინოლოგიის პირველი სიტყვაა. რამდენი უბედურების, დანაკარგის, უსიამოვნების თავიდან აცილება შეიძლებოდა, რომ მოვლენები მშვიდად განგვეხილა და მიგვეგნო მათი პირველწყაროებისთვის.

ბიზნესში მთავარია ნათლად აზროვნება! აქ საერთო წარმოდგენები დამღუპველია: უნდა იცოდე და იცოდე ზუსტად. ყოველი საქმის ელემენტებია: თქვენ, საქონელი, მომხმარებელი. ბიზნესი შეიძლება შევადაროთ სამფეხა სკამს. თუ ერთ ფეხს გამოაცლით, ცოტა ხანს შეძლებთ წონასწორობის დაცვას, მაგრამ საბოლოოდ მაინც წაიქცევით.

საწარმოს არსებობისა და აყვავებისათვის აუცილებელია სამი ძალის თანამშრომლობა: ფინანსისტის, მრეწველის და გამყიდველის. ვერც ერთი მათგანი ვერ შეასრულებს მეორის სამუშაოს.

ყოველ კარგ საქმეში სამი ელემენტი, სამი თვალსაზრისი, სამი უნარია: თქვენი ინტერესები, საქონლის ხარისხი, მომხმარებელთა მოთხოვნები. ყოველგვარი დიდი საქმე ყველგან და ყოველთვის სამგვარ კავშირს ემყარება.

3. ბიზნესი მანამდე ვერ მიაღწევს წარმატებას, ვიდრე კომერსანტი ენერგიულად არ დაძებნის ყველაფერს, რაც შეადგენს მისი საქონლის თვითღირებულებას.

გასაყიდი ფასი = თვითღირებულება + მოგება. არცერთი საქონელი არ შეიძლება ჩააბარო გასაყიდად, ვიდრე მისი თვითღირებულება ყურადღებით და დეტალურად არ იქნება შესწავლილი. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენი

<sup>14</sup> ყველგან, სადაც ტექსტში იხმარება „გამყიდველი“, „მყიდველი“ – აქვე ივარაუდეთ მომსახურება, მედიცინა, განათლება და სხვა, სადაც მოქმედებაშია ბიზნესი.

მთავარი ვალია საკუთარი ინტერესების დაცვა პუბლიკისგან, რომელიც არ გადაიხდის ჩვენ მიერ დადგენილ ფასზე მეტს. გასაყიდი ფასის ნამდვილი საფუძველია თვითღირებულება პლიუს მოგება.

4. საქონლის სიუხვე ამცირებს ფასებს და, პირიქით, საქონლის დეფიციტი ადიდებს მათ. საქონლის ფაქტობრივი ღირებულება ნაკლებად არის დამოკიდებული მის ფასზე. საგნების ფასები იცვლება მათი მიმზიდველობის, იშვიათობის, მოდის, ხალხის ჩვეულებებისა და გემოვნების მიხედვით.

საქონელი თავისთავად კი არ არის ფასეული, არამედ დამოკიდებულია დროსა და იმ ადგილზე, სადაც იგი იმყოფება. შეიძლება სიუხვე აქციო დეფიციტად, თუკი უბრალოდ მოთხოვნილებას გაადიდებთ. მოთხოვნა არ არის მუდმივი სიდიდით და იმავე საქონლის სხვადასხვანაირი გამოყენების ძიება – კომერციული მოხერხებულობის ახალი ფორმაა.

რეკლამას ბიზნესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი მიზანია მყიდველების გადაქცევა ავტომატურ მყიდველებად. მოთხოვნის გადიდება – ეს არის მაღალი ფასების შენარჩუნება, წარმოების გაფართოება კი თვითღირებულების შემცირებაა.

რეკლამა არის ხელოვნება – ხალხს შეუქმნა ყიდვის სურვილი; ეს არის ხერხი გაუჩინო ახალი სურვილი და ხალხში გაავრცელო ცხოვრების ფუფუნების გემო, ეს არის „გაყიდვის ხელოვნება“.

5. მყიდველი ის არის, ვინც რაიმე ნივთს უფრო მეტად უფრთხილდება, ვიდრე იმ ფულს, რაც ეს ნივთი ღირს. „გაყიდვის ხელოვნებამ“ უნდა დაარწმუნოს ადამიანები, რომ ამ ნივთის ყიდვა მათთვის ხელსაყრელია. დარწმუნება – გაყიდვის აქტის აუცილებელი ატრიბუციაა.

6. დრო ადიდებს თვითღირებულებას. კულტურულ ქვეყნებში დრო არის უძვირფასესი განძი, სიმდიდრის ნამდვილი ფორმა. მის უდიდებულესობას საათს აყენებენ მთავარ მოედანზე და მუხლს იყრიან მის წინაშე.

საათი – ყველა წარმატებული ბიზნესმენის მბრძანებელია. დრო – ფულია. აი, კომერციული გამონათქვამი და „ნაყოფიერების მეცნიერების“ ერთ-ერთ ყველაზე მთავარი სურვილი. ცხოვრებაში ნამდვილი კაპიტალი არის დრო. სხვა ყველაფერი მეტნაკლებად მოჩვენებითია. დრო ყიდულობს ყველაფერს, სიცოცხლეს, ხასიათს, ფულს, მამულს...

7. ყოველგვარი გადაადგილება ადიდებს თვითღირებულებას. ყოველი გადაადგილება მოითხოვს ენერჯის ხარჯვას. ენერჯის ფლანგვა საქმიანი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტებაა. ბიზნესის სათაო ამოცანაა ყოველი მოძრაობიდან, ყოველი შესტიდან მიიღოს რაც შეიძლება მეტი სარგებელი.

დრო და სივრცე სამყაროს აღქმის ძირითადი ელემენტებია. ეცადეთ უარყოთ ზედმეტი მოძრაობები და თქვენ განგაცვიფრებენ შედეგები.

8. წარმოების გადიდება ამცირებს თვითღირებულებას. კარნევის მილიონების საიდუმლო მდგომარეობს მოწყობილობის სრულყოფაში, მასობრივ წარმოებასა და თვითღირებულების შემცირებაში. ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლება ფასის შემცირება, არის ქარხნები და ფაბრიკები და არა მაღაზიები.

9. თვითღირებულებას ქმნის საწყისი დანახარჯები და შენახვის მომდევნო ხარჯები, რაც ხშირად ყველაფერს შთანთქავს. სრული თვითღირებულება ეს არის თავდაპირველი დანახარჯები + შენახვის ხარჯები. მეცნიერების არსი წინასწარ ხედვაა, ამიტომ აუცილებელია თვითღირებულების საკითხის მუდმივი და სრული შესწავლა.

10. მოგების შეჯამებამდე აუცილებელია იანგარიშო საერთო ხარჯები (იმი-სათვის, რომ არ ჰქონდეთ უფრო მეტის იმედი, ვიდრე რეალურად შესაძლებელი მოგებაა).

სიმდიდრეს ქმნის არა მხოლოდ შრომა, არამედ ტვინი და ფსიქიკა. გამოგონებები, მოწყობილობა, ახალი მანქანა-დანადგარები, ახალი რესურსების აღმოჩენა ქმნის სიმდიდრეს. კაპიტალი ყველაზე დაუღალავი მუშაა.

ბიზნესის საბოლოო კანონი – ეს მოგების მიღების კანონია. საერთო ხარჯები წინ უნდა უსწრებდეს მოგებას. კომერციულ საქმიანობაში მთავარი სიტყვა ბრუტო კი არა, ნეტოა. სწორედ ნეტო – მოგების გადიდებაა, ის მიზანი, რისთვისაც იღწვის „ნაყოფიერების ხელოვნება“.

11. რაც უფრო მეტია რისკი, მით მეტი უნდა იყოს მოგებაც. ბიზნესში რისკი აუცილებელია და აქ არ არის სრული უსაფრთხოება. რისკის მოსპობა არ შეიძლება; მისი შემცირება – კი. ხელი უნდა შეეწყოს ინიციატივასა და გამომგონებლობას.

12. ღირებულება მერყევიანია. საქმიანი სამყარო ეს არ არის განვითარების ევოლუციის, მუდმივი ცვლილებების სამყარო. ყველაფერი იცვლება დროსა და სივრცეში, რასაც ბიზნესი მოიცავს. უკიდურესად მრავალფეროვანი გახდა იგი. ვერ ნახავთ საზოგადოების განვითარების სფეროს, სადაც ბიზნესი არ ცდილობს გაბატონდეს და წესიერების და სამართლიანობის ფარგლებში დიდი სარგებლობაც მოაქვს.

13. ღირებულებას აქვს ფაქტიური და შეფარდებითი ხასიათი. ღირებულება დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე: ადამიანებზე, კრიზისებსა და განსხვავებულ განწყობებზე. ერთი და იგივე სახელი შეიძლება შეფასდეს ოთხი სხვადასხვა ფასით. საზღვარი არა აქვს ფასების დაცემას იმ საქონელზე, რომელიც საღამოს უნდა გაიყიდოს. ვერაინ ვერ იყიდის კარგად და ვერაინ გაიყიდის კარგად თუ არ ჩაწვდა ამ აქსიომას – ღირებულება არის ფაქტიური და შეფარდებითი.

ღირებულება ერთდროულად სულიერიც არის და მატერიალურიც. ღირებულება შეიძლება უჩინარი იყოს, როგორც ვარდის შეფერილობის ტონი, და მარადიული, როგორც კლდე.

14. ფული – ეს მხოლოდ ოქროა (იმისათვის რომ მარცხი მოულოდნელი არ იყოს). ოქრო – ძლიერებაა, ღირებულების კვინტესენციაა. ოქრო მარტო ლითონი როდია, ოქრო სიმდიდრის უნივერსალური სიმბოლოა. სამხრეთ ამერიკიდან ვეროპაში შემოჭრილმა ოქრომ მოსპო ფეოდალიზმი, გაათავისუფლა მონები, შეასუსტა თავადაზნაურობის ყოვლისმძლეობა და შექმნა დემოკრატიისა და მრეწველობის პირველი ფუნდამენტი. ოქროს სიუხვე ფასებს მაღლა სწევს მისი დეფიციტი – დაბლა. მომავალი ფასების გაგების საუკეთესო ხერხია თვალყური ადევნოთ ოქროს უკუქცევასა და მოქცევას. ოქრო კი არ ემყარება ნდობას, უფრო პირიქით, ნდობა ემყარება ოქროს.

15. რეზულტატს ვგებულობთ შედეგების შეჯამებით. ეცადეთ უვნები იყოთ თქვენს სუსტ მხარეებში. იხელმძღვანელოთ ნაპოლეონის პრინციპით: თვალყური ადევნეთ თქვენ სუსტ ადგილს, მთავარია – თქვენ უფრო ადრე აღმოაჩინოთ, ვიდრე მოწინააღმდეგე შენიშნავს მას.

ნაყოფიერი შრომა გეგმაზომიერი უნდა იყოს. „იმის დანახვა, რასაც სხვები ვერ ამხნევენ, წარმატების მიღწევის უნივერსალური გასაღებია“ (რობერტ კოსსაკი).

16. ყოველგვარი საქმის მომავალი დამოკიდებულია კომბინაციებზე (იმისათვის, რომ არ ვინანოთ დროის სულისკვეთების გაუგებლობა).

ყველა კომერციული ორგანიზაციის იდეალია – ძლევამოსილიც იყოს და თავაზიანიც (როგორც ბრძანა ჟან-პოლმა „თავაზიანობა ზნეობის გამოსხივება“) ერთდროულად.

თუ გუშინ მეფე იყო სიტყვა-ინიციატივა, დღეს კი – კავშირი, ხვალ გაჩნდება უდიდესი ცნება – ემსახურე სხვას! XX საუკუნის ერთ-ერთმა ბიზნესმენმა, გამოთვლითი მანქანების სამყაროში რევოლუციის პიონერმა ტადაო კასიომ განჭვრიტა ამ ცნების გარდაუვალობა და მომავალ ბიზნესმენებს დაუტოვა ბედნიერების რეცეპტი, რომელიც ასე ჟღერს: გზა პატიოსანი ბიზნესისკენ. უნდა შეგეძლოს გულის მეცნიერებისა და გონების მეცნიერების კომბინაცია.

ყოველი ახალი წამოწყებისთვის სადად უნდა განვსაჯოთ დასახული მიზნები და დავრწმუნდეთ მათი შესრულების შესაძლებლობებში, მიზანშეწონილებასა და რეალიზაციის გზებში (ეს უკვე ადამიანის ნებისყოფის სტრუქტურის არსებითი მხარეა) (4, 241). ამ ამოსავალ პუნქტზეა დამოკიდებული მთელი შემდგომი საქმიანობის ხასიათი. ამიტომ გადაწყვეტილება აუცილებლად მოითხოვს დაფიქრებას, აწონ-დაწონას, ზომიერ სიფრთხილეს. როგორც ამბობენ – სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მაგრამ სიფრთხილე, რომელიც ახლოსაა გაუბედაობასთან, ხშირად წარმატების მიღწევის უშუალო დაბრკოლება ხდება ყოველ საქმეში, ესეც უდაოდ უნდა გავითვალისწინოთ.

ვინც ფეხს არ გადადგამს ისე თუ არ დარწმუნდა, რომ მეორე ფეხი მყარად დგას და ნელა დადის იქ, სადაც უნდა ირბინოს ან სარისკო ნაბიჯი გადადგას, ვერასდროს ვერ მიაღწევს სასურველს. ნახტომი, მართალია, ზოგჯერ სახიფათოა, მაგრამ ეს უნდა გააკეთო თუ ის დაბრკოლების დაძლევის ერთადერთი საშუალებაა.

ჩაფიქრდით მიზნის აღსრულების დაწყებამდე, გულდასმით აწონ-დაწონეთ თქვენი შეუპოვრობა, უინიანობა, უნარი და სახსრები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმეში, სადაც ბევრი ფულია საჭირო და აღსრულების ვადა ხანგრძლივია. არასწორი გაანგარიშების წყალობით კვირები შეიძლება თვეებად იქცეს და ფულმა კი ფასი დაკარგოს ინფლაციის გამო.

„სიღინჯე გადაწყვეტილების მიღებაში, სისწრაფე აღსრულებაში, თავაზიანობა ქცევაში და სიმტკიცე მიზნის მიღწევაში – აი, მთავარი პრინციპები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს საქმიანმა ადამიანმა, ბიზნესმენმა“ (2, 28).

პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვნად ადიდებს ყოველი ბიზნესმენის მარტივ ქმედების კოეფიციენტს, აფართოვებს მის შესაძლებლობებს და მისი ყოველი ნაბიჯი მიზანშეწონილია.

თუ გარემოებები ხელს უწყობს თქვენს მიზნებს და, უფრო მეტიც, დარწმუნებული ხართ, რომ ისინი, ვინც ჩართულია თქვენი წარმატების მიღწევაში, მზად არიან დაგეხმარონ, იმოქმედეთ გაბედულად, არ დაკარგოთ არც ერთი წუთი, თუ სიტყვა მიეცით, დანაპირები მტკიცედ, პედანტურად და დროზე შეასრულეთ. იყავით გამჭრიახი, არ გაცდუნოთ შემოთავაზებულმა სარგებელმა. თქვენს საქმიანობაში ნუ იქნებით სხვის იმედზე და ნურც თავდებად დაუდგებით უცხო პირების საქმიანობას.

მოთმინება და გულმშვიდობა – ორი ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ფიცხი ადამიანების წინააღმდეგ. უნდა შეგეძლოს მოთმინებით გადაიტანოთ წვრილმანი და მიეჩვიოთ თავიდან აიცილოთ დიდი უსიამოვნებანი. საკუთარი დარდის განღობა შეიძლება მხოლოდ მეგობრებისა და ნათესავების უაღრესად ვიწრო წრეში.

მკაცრად გაასაიდუმლოთ მნიშვნელოვანი საკითხები, დაე, ის მზა სახით სამსჯავროზე იმ მომენტში გამოვიდეს, როცა მას ყველაზე ნაკლებად ელოდებიან. ამ შემთხვევაში ეფექტი და შედეგი გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება.



საერთოდ, საიდუმლო – საუკეთესო მოკავშირეა სერიოზულ საქმეში. ბიზნესმენი უნდა იყოს გონიერი, შინაგანად განსწავლული ადამიანი. მან უნდა შეიმეცნოს ის ბრწყინვალე ჭეშმარიტება, რომელიც საოცრად მოგვაწოდა დიდმა ილიამ: „ქვეყანაზე ზოგი ისეთი რამ არის, თუ არ დაინახე ვერ ირწმუნებ და ზოგიც ისეთი, რომ თუ არ იწამე, ვერ დაინახავ“ (ილია) (2, 30).

ჩვენი სამყაროს ღიდერები ყოველთვის იყვნენ ისინი, ვინც შეძლო გამოეყენებინა და აემუშავებინა ხელშეუხები, ჯერ კიდევ გამოუვლინებელი უხილავი ძალები და გადაექცია ეს ძალები (ან იმპულსები და აზრები) ცათამბჯენებად, ულამაზეს ქალაქებად, ლაინერებად, წყალქვეშა ნავებად და გემებად, ავტომობილებად და სხვა და ყველანაირი ხერხით უფრო კომფორტული გაეხადათ ცხოვრება. მეოცნებე პრაქტიკოსებს საქმე ბოლომდე მიჰყავთ. არაფერია ისეთი, რისი დაძლევაც არ შეუძლია რწმენას და გატაცებას. რწმენა „მარადისობის ელიქსირია“, რომელიც აზრის გაფრენას აძლევს სასიცოცხლო ძალას და ქმედითობას. „ვისაც მაღალი კოშკის აგება სურს, დიდხანს უნდა დაკავდეს ფუნდამენტის ამოყვანით“ – ბრძანა ენტონი ბრუკნერმა.

რწმენა ყველა გონებრივი უნარის კატალიზატორია, რწმენა – უსასრულობაშია. რწმენა ეს არის „სასწაულებისა“ და ყველა იმ საიდუმლოს საფუძველი, რომელთა აღმოჩენა არ შეიძლება მეცნიერების წესით. რწმენა – ერთადერთი შუამავალია, რომლის დახმარებით შეიძლება გამოიყენოთ უზენაესი გონების კოსმიური ძალები (2, 35).

თუ გააკეთებთ შინაგანი რეზერვებისა და ნაკლოვანების ინვენტარიზაციას, აღმოაჩენთ, რომ თქვენი ყველაზე სუსტი ადგილი რწმენის უქონლობაა. აქტიურ ბიზნესში გვერდს ვერ აუვლი რწმენას, დაჯერებას და ნდობას, ასევე უზარმაზარ როლს ასრულებს ბიზნესში ცოდნა. მაგრამ აქ ცოდნა მხოლოდ პოტენციური ძალაა, იგი ნამდვილი ძალა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ჩამოყალიბდება მკაფიო გეგმად და მიზნად ისახავს საბოლოო რეზულტატს.

ყველა, ვინც იცის როგორ და საიდან მოიპოვოს მისთვის საჭირო ცოდნა და როგორ აქციოს იგი მოქმედების მკაფიო გეგმად, შეიძლება ჩავთვალოთ განათლებულ ადამიანად.

უზარმაზარი ქონების დაგროვება მოითხოვს უზარმაზარ ენერჯიას, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, არ შეიძლება გაჩნდეს კარგად ორგანიზებული და გონივრულად გამოყენებული სპეციალური ცოდნის სისტემის გარეშე.

წარმოების, ორგანიზაციის არატრიალურად მართვას უფრო მეტად სჭირდება ადამიანი, რომელსაც უპირატესად ისეთი ნიშნები აქვს, როგორიცაა ხასიათი, პიროვნება და ინტელექტი, ვიდრე ჩვეულებრივი სპეციალური განათლება.

ადამიანის შესაძლებლობები მისსავე წარმოსახვაშია, ჭკუის ამ საკვირველ სახელოსნოშია. მას შეუძლია შექმნას ყველაფერი, რისი წარმოსახვაც შეუძლია. სიმდიდრე იწყება იდეით, იდეა ყალიბდება წარმოსახვით.

მთელ მსოფლიოში ადამიანებს უხდინან არა ცოდნისათვის, არამედ იმ უნარისათვის, რომ შეუძლია რაიმეს გაკეთება ან სხვისი დაჯერება ამის გაკეთებაში. ბიზნესს სჭირდება ადამიანები წარმოსახვით, რწმენით, ენთუზიაზმით, რომლებსაც შეუძლიათ გადაწვევტილების მიღება და მისი სისრულეში მოყვანა.

ორი კანონის – ეკონომიკის და ფსიქიკის სფეროებიდან – ერთობლივი მოქმედება ფენომენალურ შედეგს იძლევა. ინტელექტის ძალა დაგეხმარებათ ქონების დაუფლებაში. გონების ძალა – ძირითადია წარმატების მოპოვებაში. „გონების ძალა“ – ეს არის ორგანიზებული და ინტელექტუალურად მიმართული ცოდნა. უზენაესი გონებიდან პიროვნება ადამიანისათვის უცნობი მეთოდებით იღებს იმ ძალას,

რომელსაც შეუძლია სურვილი რეალობად აქციოს. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ქვეცნობიერება მუშაობს გამუდმებით.

ადამიანის ყოველგვარი შემოქმედებითი ქმნილება სათავეს იღებს აზრის აფეთქებით. შემოქმედების პროცესს წინ უძღვის წარმოსახვის პროცესი. ადამიანის მასშტაბი უდრის მისი გონების მასშტაბს.

ბიზნესის არსის წვდომა სრულყოფილებას უახლოვდება, თუ ადამიანები შეძლებენ სხვის გაგებას (განსაკუთრებით ეს ეხება პარტნიორებს და მომხმარებლებს).

ადამიანთა ზრახვებისა და ქცევების გაგება არ ნიშნავს მათი ნეგატიური გამოვლინებებისადმი შერიგებას, არამედ პირიქით, ქმნის მათთან წარმატებით ურთიერთგაგებას და საბრძოლო პირობებს. ცხოვრებაში ბევრ გაუგებრობას მხოლოდ იმიტომ ვაწყდებით, რომ არ შეგვიძლია ან თავს არ ვიწუხებთ შეგნებულად ჩაეყენოთ ჩვენი თავი სხვის ადგილზე. სხვისი მოტივაციის გაგების, სხვა, თუნდაც საპირისპირო, თვალსაზრისზე დადგომის უნარის გამომუშავება არა მარტო აიოლებს ურთიერთობას, არამედ გვეხმარება განვჭკვირვოთ ადამიანთა ქცევა ამა თუ იმ სიტუაციაში, რაც, უდაოდ, წარმატების საწინდარია.

„შენი ხელობა?“-სიკეთის სამსახური, მაგრამ როგორ ემსახურები მას, თუ არ იცნობ საერთო ბუნებისა და კაცური ბუნების საწყისს? – ბრძანა მარკუს ავრელიუსმა – ვისწავლე, არასოდეს მეღალატა ხანგრძლივი ბჭობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებისათვის, არად ჩამეგდო ფუჭი დიდება, მყვარებოდა შრომა და ყურადღებით მოვკიდებოდი ყველაფერს, რასაც მცირე სარგებლობის მოტანა მაინც შეეძლო ერისათვის...როგორ გამერჩია, სად ღმობიერი ვყოფილიყავი, სად – უღმობელი.

დროა შეიცნო, რომ შენი სიცოცხლე წამია მხოლოდ და თუ ამ წამით არ ისარგებლებ, ის გაქრება, ისევე როგორც გაქრები შენ და აღარასოდეს შემოიქცევი უკან.

არაფერი ისე არ ამადლებს ჩვენს სულს, როგორც ნივთთა და მოვლენათა თანმიმდევრული ჭეშმარიტი წვდომისა და მათი იმგვარად ჭკრეტის უნარი, რაც მყისეულად საცნაურყოფს, რა სარგებლობა მოაქვს თითოეულ მათგანს სამყაროს ამა თუ იმ ნაწილისთვის, ან რითია ის ფასეული როგორც მთელი სამყაროსთვის, ისე კაცთათვის (5). რაგინდ გასაოცარიც არ უნდა იყოს, გენიალური მოაზროვნის მარკუს ავრელიუსის ფიქრები ზნეკეთილობაზე საესეებით შეესატყვისება ოცდამეერთე საუკუნის საქმიან ადამიანს, რომელიც ატარებს ბიზნესმენის ღირსეულ სახელს.

საქვეყნოდ ცნობილმა ამერიკელმა ბიზნესმენმა და მენეჯერმა ლი იაკოკამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება: „ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც წააწყდა დღეს ამერიკული ბიზნესი, არის მენეჯერთა უმრავლესობისთვის ინფორმაციის ზომიერადსული მოცულობა. იგი თავბრუს ახვევს, აბრმავეებს მათ და არ იციან, რა მოუხერხონ მას.

წარმატების გასაღები ინფორმაციაში კი არა, ადამიანებშია, მათ ფსიქიკურ სიჯანსაღეში. ამიტომ უმაღლესი მმართველობითი პოსტებისათვის მე ვეძებ მხოლოდ დაუღალავ, გამრჯე და პატიოსან ადამიანებს.

ჩემი რწმენით, მუშების მიერ დახარჯული დრო და ენერჯია კარგად უნდა ანაზღაურდეს. მე, რა თქმა უნდა, სოციალისტი არ ვარ, მაგრამ ვემხრობი სიმდიდრის განაწილებას, მუშების მონაწილეობას მოგებაში იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იგი.

თითქმის ყველა ადფრთოვანებულია იაპონელებით, მათ მიერ მომავლის ნათელი ხედვით, მათი აწყობილი თანამშრომლობით მთავრობას, ბანკებსა და პროფ-

კავშირებს შორის, მათი უნარით თავისი უპირატესობანი გამოიყენონ განუხრელი წინსვლისთვის, მაგრამ როგორც კი ვინმე შემოგვთავაზებს გავყვეთ მათ მაგალითს, წარმოსახვაში მაშინვე ჩნდება საბჭოთა კავშირის სახე მისი ხუთწლიანი გეგმებით. ნამდვილად კი სახელმწიფო დაგეგმვა სრულიად არ ნიშნავს სოციალიზმს. იგი ნიშნავს მხოლოდ მოფიქრებულ სტრატეგიას, ჩამოყალიბებულ მიზნებს. იგი ნიშნავს ეკონომიკური პოლიტიკის ყველა ასპექტის შეთანხმებას, ნაცვლად ცალ-ცალკე ნაწილებად წარმოდგენისა, ნაცვლად ვიწროჯგუფური ინტერესების მქონე ადამიანების მიერ მათი შეუთანხმებელი დამუშავებებისა.

შეიძლება თუ არა დაგეგმვა ჩაითვალოს ანტიამერიკულ ცნებად? ჩვენ კორპორაცია „კრაისლერში“ დიდ გეგმიან მუშაობას ვეწვეით. ასევე იქცევა ყოველი წარმატებული კორპორაცია. უნივერსიტეტები გეგმავენ, ბანკები გეგმავენ, მთელი მსოფლიოს მთავრობები გეგმავენ. გამონაკლისია მხოლოდ აშშ-ის მთავრობა. ამიტომაც ამერიკას აქვს ცუდი სამრეწველო პოლიტიკა, რაც შესწორებას საჭიროებს“ (6).

მინდა სტატია დავასრულოთ თ. ჭიაბრიშვილის სიტყვებით: „ბიზნესი არა მხოლოდ ქონების შოვნის ხელოვნებაა, ეს არის მთელი მეცნიერება, რომლის სიკეთეც ხელოვნებასა და ლიტერატურასაც ეფინება და დიდ როლს თამაშობს მაღალზნეობრივი, საქმიანი, ენერჯიული პიროვნების ჩამოყალიბებაში. ბიზნესი თანამედროვე საზოგადოების ძირითადი ბერკეტია“ (2, 2).

ბიზნესში წარმატება არის პროფესიონალიზმი პლიუს პატიოსნება.

#### **ლიტერატურა:**

1. Психология бизнеса, М., 1998.
2. ჭიაბრაშვილი თ., გზა პატიოსანი ბიზნესისკენ, თბ., 2000.
3. Герберт Н. Кессон. Аксиомы бизнеса. В кн. Аксиомы бизнеса. Минск, 1995.
4. სვანიძე ლ., ლექციები ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში, შემეცნებითი სწავლება, 2016.
5. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თბ., 1972.
6. Ли Якока. Карьера менеджера. М., 1991.

**Lia Svanidze**

***Business as the art of economic, fruitful activity***

**Summary**

As a result of detailed consideration of the problem presented in the article is confirmed that business is an economic, fruitful activity, economic creative work of person, which sets a goal of satisfaction of social needs and gaining the personal benefit, and indepth and comprehensive study of psychological sciences plays crucial role in this process. It is emphasized that it is a rare occasion when we face a problem, which is irresolvable for mind of man. The work clearly shows that business is a competition of mind and heart, it means salvation, which is promoted by creative thinking.

The truth runs through Lia Svanidze's work that a person, who bears the name of honest businessman, mandatorily is psychologically trained and very quiet man, and the famous wisdom: 'Sometimes one-minute restraint means escape from houndred-day regret' is not alien for him. The author confirms that business system is the unity of relations between various subjects of market

economy, where relations, communication and forms predetermine each other and form a complete whole. It is clearly seen from the work that the sense of social responsibility is added to businessman's qualities, such as initiative, drivenness, tirelessness etc. It is shown that the time leads business to humanization. Businessman pays considerable attention to business culture. Special place in the work is allotted to business axioms as its mandatory conditions. The author emphasizes the role of psychology in business and abundantly offers advices. She unequivocally supposes that success in business is predetermined by professionalism plus honesty.

**Лия Сванидзе**

***Бизнес, как искусство экономической продуктивной деятельности***

**Резюме**

В статье говорится, что личность, которая носит имя порядочного бизнесмена должен быть подготовлен психологически и быть очень сдержанным. Автор подтверждает, что система бизнеса является единством отношений между множеством субъектов рыночной экономики, где отношения, связь и форма представляют собой единое целое.

В работе подчеркивается, что таким свойствам бизнесменов как инициативность, энергичность, непоколебимость и т.д. добавляется чувство социальной ответственности. Бизнесмен большое внимание уделяет культуре бизнеса. Особое место занимают аксиомы бизнеса и уделяется внимание психологической роли, в котором успех бизнеса составляют успешность и порядочность.

**კახი კობალიანი**  
(საქართველო)

**ლიდერობის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები მცირე  
სოციალურ ჯგუფში**

ყველგან, სადაც ერთად თავს იყრის ორ ადამიანზე მეტი, ჩნდება ლიდერობის პრობლემა. ჯგუფის ფორმირების პროცესში ზოგიერთი მისი წევრი იწყებს უფრო აქტიური როლის თამაშს, ვიდრე სხვები, მათ უპირატესობას ანიჭებენ, მათ სიტყვებს უფრო აფასებენ, მოკლედ, ისინი დომინირებულ მდგომარეობას იკავებენ. ამრიგად, ხდება ჯგუფის წევრთა დიფერენციაცია, სხვა სიტყვებით, ჯგუფში გამოიყოფა როგორც ლიდერები, ასევე მათი მიმდევრები.

ჯგუფის რაოდენობრივი ზრდისა და სტაბილიზაციის საფუძველზე, ჯგუფის წევრთა შორის ყალიბდება რანგული იერარქია, შესაბამისად, ლიდერი ჯგუფის საქმიანობაში გადამწყვეტ როლს იძენს.

ადამიანის მთელი ცხოვრება მიმდინარეობს სოციალურ კონტექსტში, ის ცხოვრობს და მოქმედებს სხვადასხვაგვარი ჯგუფების შემადგენლობაში და განიცდის ფორმალური და არაფორმალური ლიდერების გავლენას. ლიდერის როლში შეიძლება გამოვიდნენ სხვადასხვა პიროვნული თვისებების და საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე ადამიანები: ოჯახის უფროსი, მასწავლებელი, მწვრთნელი, კრიმინალური ჯგუფის მეთაური, განყოფილების უფროსი, კათედრის გამგე და ა.შ.

ლიდერის პიროვნება და მისი ქცევის სტილი თითოეული ადამიანის და მთელი ჯგუფის ბედს განსაზღვრავს. სხვა სიტყვებით, ლიდერები გავლენას ახდენენ ინდივიდების სოციალიზაციაზე. ადამიანთა სოციალური ქცევის შესწავლის შედეგად, შესაძლებელია ლიდერობის დინამიკის გაგება და ჯგუფის ცხოვრებაში მნიშვნელოვან თავისებურებათა აღმოჩენა. რამდენადაც მრავალფეროვანია ადამიანები და ჯგუფები, იმდენად მრავალფეროვანია ლიდერები და მათი ქცევა.

ლიდერობის ნიშნები ნებისმიერ ჯგუფში, მათ შორის, შემთხვევით ჯგუფებშიც კი შეიძლება შევამჩნიოთ და ყველა მათგანში შესაძლებელია ისეთი საერთო კანონზომიერებების აღმოჩენა, როგორებიცაა: ლიდერობის სტილის ამსახველი გარემოება, ჯგუფის არსი, რომელსაც ლიდერი ხელმძღვანელობს, ასევე პიროვნული თვისებები არა მარტო ლიდერისა, არამედ მისი მიმდევრებისა და სხვა.

ლიდერობის ფენომენის სიცხადის მიუხედავად, რთულია ჯგუფში ლიდერის დადგენა. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში საუბარია ლიდერის გამოვლენის ორი ძირითადი მეთოდის შესახებ:

1) გამოკითხვის შედეგად შეიძლება გაირკვეს, თუ ვის ანიჭებენ ჯგუფის წევრები უპირატესობას საქმიან სფეროში, როგორც ყველაზე მეტად გავლენიან პირს (თვითანგარიშის მეთოდი);

2) სპეციალურად მოწვეულ კონსულტანტებს ჯგუფის ყველაზე უფრო გავლენიანი წევრების დასახელებას თხოვენ, ან ხდება ჯგუფის ერთი წევრების მიერ სხვა წევრებზე გავლენის აქტების ჩანიშვნა (დაკვირვების მეთოდი).

ლიდერობის გამოვლენის ამ ორი მეთოდის საერთო კრიტერიუმს წარმოადგენს გავლენის ფაქტორი, რომელსაც პიროვნება ჯგუფის მონაწილეებზე ახდენს. შესაბამისად, ლიდერები შეიძლება განვსაზღვროთ როგორც პირები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფის მოქმედებაზე.

ასეთი ფორმულირებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სულ მცირე, სამი მნიშვნელოვანი შედეგის შესახებ საუბარი, რომელთაც ლიდერობის პრობლემის შესწავლის დროს ნაკლებად ითვალისწინებენ.

**ჯგუფი**, ამ განმარტებით ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ჯგუფის ყველა წევრი რაღაც ზომით ლიდერია, რამდენადაც თითოეული მონაწილე ურთიერთობებში უნებლიე გავლენას ახდენს ჯგუფის სხვა წევრების მოქმედებებზე. ამიტომ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ლიდერობა რაოდენობრივ ცვლადს წარმოადგენს და არა გარკვეული თვისების არსებობას (ან არ არსებობას). სწორი იქნებოდა საუბარი არა არსებობის შესახებ, არამედ ხელმძღვანელობის მიმართულებით ჯგუფის თითოეულ წევრთან შესაძლებლობათა (პოტენციალის) მოცულობაზე და არ უნდა მოვახდინოთ ჯგუფის წევრების ფატალური დაყოფა ლიდერებად და მიმდევრებად. ამრიგად, ჯგუფის იმ წევრებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ჯგუფის მოქმედებაზე, შეიძლება უწოდოთ ლიდერი.

**მეორე**, შედეგს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ლიდერობის პროცესი არის პიროვნებათაშორისი ურთიერთობის აქტი: არა მარტო ლიდერი ახდენს გავლენას მიმდევრებზე, არამედ მიმდევრებიც ახდენენ გავლენას ლიდერზე. ლიდერების ქცევა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ჯგუფის წევრთა განწყობებით (ღირებულებათა ორიენტაციებით). ემპირიული კვლევებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ იმ ჯგუფში, სადაც თანასწორობის ტენდენციები ჭარბობს, ლიდერი უფრო დემოკრატიულია; და პირიქით, იმ ჯგუფებში, სადაც უპირატესობა ენიჭება ძალისმიერ მართვას, ლიდერი შეიძლება გახდეს სრულუფლებიანი დიქტატორი.

**მესამე**, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ განსხვავება ლიდერსა და კოლექტივის ოფიციალურ ხელმძღვანელს შორის. ლიდერს ყოველთვის აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის წევრებზე, ხოლო ოფიციალური ხელმძღვანელის გავლენა ჯგუფის წევრებზე ზოგ შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვნად მცირე იყოს. სხვა სიტყვებით, ყველა ფორმალური ხელმძღვანელი არ წარმოადგენს ლიდერს.

ზემოჩამოთვლილი ზოგადი მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება მოვახდინოთ საკუთრივ ლიდერისა და ლიდერობის პრობლემების სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი.

**ლიდერობის აღმოცენება**. ამ ნაწილის ძირითადი აზრი შეიძლება შემდგენიარად ჩამოვაყალიბოთ: ლიდერობის (არაფორმალური ხელმძღვანელობა) და მისი ფუნქციის აღმოცენება ჯგუფში განისაზღვრება ჯგუფის სტრუქტურით, მდგომარეობით და ამოცანით. როგორც აღვნიშნეთ, ლიდერები თავიანთი ცენტრალური პოზიციის წყალობით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჯგუფის მიზნების, მსოფლმხედველობის, ასევე ორგანიზაციის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში და ჯგუფის წევრთა ერთობლივ საქმიანობაში.

ახლა ვნახოთ „ლიდერი-ჯგუფის“ ურთიერთქმედების მეორე მხარე, რამდენადაც სწორედ ჯგუფის სტრუქტურა, მდგომარეობა და ამოცანა განაპირობებს ლიდერობასა და მიზნების აღმოცენებას, რომელსაც ის ემსახურება. უმრავლეს შემთხვევაში, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, ჯგუფში გავლენა შეიძლება ერთი ან რამდენიმე პირის ხელში მოექცეს და არ განაწილდეს ჯგუფის ყველა წევრებზე თანაბრად. ეს განსაკუთრებით ცხადად ვლინდება, როცა დროთა განმავლობაში ჯგუფი სტაბილიზირდება გარემომცველ პირობებში.

ბუნებრივია, ლიდერობის კონცენტრაციის ისტორია სხვადასხვა ჯგუფში სხვადასხვაგვარად მიედინება. აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ ამოსავალ წერტილს და ჯგუფის ფუნქციონირებისა და ზრდის ძირითად მოვლენებს, ასევე

ჯგუფის წევრების იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც ხელს უწყობენ ლიდერობის კონცენტრაციას და ამ პროცესის წარმატებას განაპირობებენ.

**ლიდერობა და ჯგუფის რანგული იერარქია.** რაოდენობრივი ზრდის პროცესში, იზრდება ჯგუფის მიზნების ფუნქცია და კონცენტრაცია. ჯგუფის წევრთა შორის ყალიბდება გაგლენის ხარისხობრივი იერარქია, რომლის ზედა საფეხურს იკავებს პირველსახოვანი ლიდერი, ხოლო შუა ადგილზე განლაგდებიან მეორე და მესამე დონის ლიდერები, ქვედა საფეხურზე კი იმყოფებიან მიმდევრები.

მცირე შეჭიდულ ჯგუფებში, როგორც წესი, საშუალო (მეორე, მესამე დონე) ლიდერები და მიმდევრებიც თავიანთ დონეზე წარმოადგენენ ზედა ლიდერის ძირითად მახასიათებლებს. თუმცა ეს არ ეხებათ დიდ და რთულ ჯგუფებს, სადაც არსებობს ობიექტური პირობები მრავალი ლიდერის წამოსაწევად.

**ლიდერი და კრიტიკული სიტუაციები.** ჯგუფის მიერ გაგლენიან ლიდერზე მოთხოვნა განსაკუთრებით მწვავედ იმ შემთხვევაში ხორციელდება, როცა ჯგუფური მიზნების მიღწევის გზაზე აღმოცენდება რაღაც წინააღმდეგობები, ან როცა ჯგუფს რაღაც შიგნიდან ემუქრება, ე.ი. როცა იქმნება რთული, კრიტიკული სიტუაცია. ასეთ შემთხვევაში ჯგუფის წევრები ყოველთვის თანხმდებიან იმაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან მიზნის მისაღწევად და საშიშროების დასაძლევად. თუ ამ დროს რომელიმე ინდივიდი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე (გაბედულობა, ცოდნა, თვითდარწმუნებულობა და ა.შ.) მიზნის მიღწევას, ან ჯგუფის უსაფრთხოების დაცვას შეძლებს, მაშინ ის, სავარაუდოდ, მოცემული ჯგუფის ლიდერი გახდება.

საშიშროების ან წინააღმდეგობათა გადალახვის სიძნელის ხარისხი, რომელსაც აწყდება ჯგუფი, განაპირობებს არა მარტო ლიდერობის აღმოცენების ფაქტს, არამედ ასევე მისი გავრცელების მოცულობას და ფორმას. კრიტიკულ სიტუაციებში ლიდერობა ერთი ხელის ფოკუსში ექცევა, ერთ პიროვნებაზე კონცენტრირდება. დიქტატორების საქმიანობის ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი კრიტიკულ სიტუაციებში აღმოცენდებიან, სწორედ მაშინ როცა ხელისუფლებაში გარდაუვალი სწრაფი ცვლილებები მიმდინარეობს. პოლიტიკური ავანტიურისტები, რომლებსაც ძალაუფლება სწყურიათ, ხელოვნურად ქმნიან საგანგებო სიტუაციებს, როგორც სახელმწიფო ფუნქციის გაკონტროლების საშუალებას და სხვადასხვა კრიზისებს იწვევენ, ამ კონტროლის შენარჩუნებისათვის.

ამერიკელმა მეცნიერმა ლეიტონმა (Leighton), ბანაკის პირობებში, ლიდერობის აღმოცენების შესაძლებლობა შეისწავლა. ის იზოლაციის პირობებში ადამიანების ბრმა, აპათიურ დამთმობლობაზე, ცხოვრების მიღებული ნორმებისა და უსაფრთხოების დარღვევებზე მიუნიშნებს.

თუ პრობლემები, რომლებსაც აწყდება ჯგუფი, ძალიან რთულია, ლიდერობის ფუნქცია ჩვეულებისამებრ გადანაწილდება რამოდენიმე პირზე. დავალების გართულების შესაბამისად ლიდერობა ხდება გამოკვეთილი. ადვილი ჯგუფური დავალების შემთხვევაში კი ლიდერობა კვლავ გაცალმტკვერდება (დავალება იმდენად მარტივია, რომ ყველას შეუძლია მისი გადაჭრა დამოუკიდებლად).

**ლიდერობა და ჯგუფური არამდგრადობა.** ახალი ლიდერის აღმოცენებისათვის კეთილსასურველი გარემოება შეიძლება არა მარტო გარე მუქარის გაგლენით შეიქმნას, არამედ შიდაჯგუფური კონფლიქტების შედეგადაც. გარკვეულ გარემოებაში, კონფლიქტში ჩართული ქვეჯგუფების ლიდერები, მაღალი რგოლის ლიდერთან მიმართებაში თანასწორ მდგომარეობას ინარჩუნებენ. ხოლო,

თუ ჯგუფი არ დაიშალა, მაშინ ქვეჯგუფების ლიდერები განიღებებიან ერთი ძლიერი ლიდერის მიერ.

მიჩიგანის უნივერსიტეტის თანამშრომელმა (აშშ) კროკეტმა (Crockett) ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ჯგუფში აზრთასხვაობა ძველი ლიდერების უზურპაციისა და ახლების აღმოცენებისათვის კეთილსასურველ ნიადაგს ქმნის. მან სამთავრობო და საწარმოო ორგანიზაციებში 72 ჯგუფი შეისწავლა და დაასკვნა – „მიზნის მიღწევაში, განსხვავებული აზრის მქონე წევრებისგან შემდგარ ჯგუფებში უფრო ადვილად აღმოცენდება არაფორმალური ლიდერები, ვიდრე იმ ჯგუფებში, სადაც მიზნებისა და საშუალებების გარკვევაში ჯგუფის წვრთა შეხედულებების თანხვედრა მაღალია“.

**ლიდერები და ყოფილი ხელმძღვანელები.** ახალი ლიდერი უფრო მეტად შეიძლება მოგვევლინოს იმ პერიოდში, როცა ძველი ლიდერი ვერ ართმევს თავს მმართველ მდგომარეობას, როგორც სტრატეგი, ექსპერტი, დამკვეთმარებელი და ადმინისტრატორი. კროკეტი აღნიშნავს, რომ როცა ლიდერი ვერ უმკლავდება ჩამოთვლილ ფუნქციებს, მაშინ 83%-ის შემთხვევაში, აღნიშნულ ფუნქციებს ჯგუფის სხვა წევრი იღებს საკუთარ თავზე. ხოლო იმ ჯგუფში, სადაც ფორმალური ლიდერი ეფექტურად ასრულებს თავის მოვალეობებს, ახალი ლიდერი მხოლოდ 39%-ის შემთხვევაში აღმოცენდება. ასევე დამტკიცებულია, რომ თუ ლიდერი გარემო პირობებში ვერ უმკლავდება ჯგუფის წარმომადგენლობით ფუნქციებს, არ შეუძლია „ჯგუფის სახელით საუბარი“, მაშინ ჯგუფი ახალ ლიდერს წამოწევს.

**ლიდერები და მათი მოთხოვნები.** ისევე, როგორც ჯგუფის ყველა წევრი, პოტენციური ლიდერიც მიისწრაფვის ჯგუფის საერთო მიზნების მიღწევისკენ და ამავე დროს აქვს საკუთარი, დამატებითი მოთხოვნები. მომავალ ლიდერს ჯგუფის სხვა წევრებისაგან განსხვავებს ის, რომ ეს დამატებითი მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილებული იყოს ხელმძღვანელის (ან არაფორმალური ლიდერის) როლის მიღებით. ღირებულებითი ორიენტაციებისა და საკუთარი მოთხოვნების გაცნობიერების ხარისხიდან გამომდინარე, მომავალი ლიდერი მიზანმიმართულად ცდილობს წამყვანი როლის მოპოვებას, ან პროცესი შეიძლება წარმართოს სტიქიურად, უფრო სწორად, ლიდერის წამოწევას მიმდევრები ახდენენ, თუ კი დარწმუნდებიან იმაში, რომ ის ფლობს ლიდერისათვის დამახასიათებელ აუცილებელ თვისებებს.

როცა ლიდერი თვითონ ცდილობს მმართველობის მოპოვებას, ამ შემთხვევაში სოციალური თვითორგანიზაციის მექანიზმი ადვილს უთმობს მიზანმიმართულ საქმიანობას, რომელიც განსხვავებული ელემენტებისაგან ყალიბდება. ამ მოთხოვნებისათა შორის შეიძლება იყოს ძალაუფლებისკენ სწრაფვა, საკუთარი სოციალური სტატუსის ამაღლება და პიროვნების სხვა შემადგენელი ღირებულებითი ორიენტაციები. როცა ჯგუფის წევრთა შორის არიან ასეთი მოთხოვნების მქონე ადამიანები, მხოლოდ ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი ჯგუფში ლიდერის მოვლინება. იმ შემთხვევაში კი, როცა ჯგუფში ლიდერების მაღალი პოტენციალია, მაშინ შესაძლოა ეს ფუნქცია (ლიდერობა) ჯგუფის რამდენიმე წევრზე გადანაწილდეს. ხოლო თუ ჯგუფის ლიდერული პოტენციალი არც ისე მაღალია, მაშინ, სავარაუდოდ, ძალაუფლება ერთი პიროვნების ხელში მოექცევა. თუ ჯგუფში საერთოდ არ არის ისეთი პიროვნება, რომელსაც ლიდერობის მოთხოვნები გააჩნია, მაშინ, ბუნებრივია, ასეთ ჯგუფში ლიდერი არ აღმოცენდება და, შესაბამისად, ჯგუფი შეიძლება ადვილად დაიშალოს.



დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ლიდერობის პროცესის გასაგებად, გასათვალისწინებელია არა მარტო შიდაჯგუფური ფაქტორები, ჯგუფის წევრთა წარმოდგენები და მოთხოვნები, არამედ პოტენციური ლიდერების ფსიქოლოგიაც. არ არსებობს ლიდერები მიმდევრების გარეშე და არ არსებობს ლიდერები იმ ადამიანების გარეშე, რომლებსაც ლიდერობა სურთ. სხვა სიტყვებით, თუ ჯგუფში არ არიან ლიდერობაზე ორიენტირებული ადამიანები, მაშინ ჯგუფის ის წევრები, რომლებიც ფაქტიური ლიდერის გარეშე აღმოჩნდნენ, ჯგუფის ფორმალური მონაწილეები ხდებიან და არა ლიდერის მიმდევრები. პრაქტიკულად ასეთ ჯგუფში შეიძლება იყოს ფორმალური ხელმძღვანელი, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში ის მონაწილეების საქმიანობას მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალებებით არეგულირებს.

### **ლიტერატურა:**

1. ჩარკვიანი დ., ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში, თბ., 2001.
2. ჩარკვიანი დ., ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2004.
3. Копалиани К., Ролевая дифференциация лидерства в юношеских спортивных командах. Кавказведение. №3, М., 2003.
4. Кричевский Р. Л., Рыжак М. М., Психология руководства и лидерства в спортивном коллективе. М., 1985.
5. Peter G., Northouse. Learership. Theory and Practice. Fifth Edition. 2010.

### **Kakhi Kopaliani** *Psychological aspects of leadership in a small social group* **Summary**

The article covers definition of the leadership phenomenon, beginning of the leadership events. The article also discusses such events as leadership and group hierarchy, leader and critical conditions, leader and group instability, leaders and ex-managers, leaders and their demands.

### **Кахи Копалиани** *Психологические аспекты процесса лидерства в малых социальных группах* **Резюме**

В статье показана общая характеристика феномена лидерства. Описаны особенности лидерства. Рассмотрено отношение лидерства к таким явлениям как иерархия ранжирования группы, критические ситуации, групповая неуравновешанность. В статье также затрагиваются такие темы, как лидеры и бывшие руководители, лидеры и их потребности.

**რუსუდან გოგონია**  
(საქართველო)

**კროს-კულტურული ანალიზი უცხოური ენის სწავლებაში**

უცხოური ენის ათვისებისას აუცილებელია განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და სხვადასხვა ენობრივი კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემა, შემსწავლელის მიერ უცხო კულტურული ინფორმაციის გაცნობა და მის პრაქტიკაში გამოყენება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს მშობლიური და უცხო კულტურის ერთმანეთთან შედარება. იმ ენის კულტურაში, რომელსაც შემსწავლელი ეუფლება, მომხდარი ცვლილებები ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე. დღესდღეობით უცხოური ენის სწავლებაში დიდი ყურადღება ექცევა ინტერკულტურულ კომუნიკაციურ კომპეტენციას.

ინტერკულტურული კომპეტენცია განისაზღვრება როგორც უნარი, რომელიც უცხოური ენის შემსწავლელს მონოლინგუური მშობლიური ენის მატარებლისგან განასხვავებს.

კულტურის არსის სიღრმისეული გააზრებისათვის აქტუალურია კულტურის სემიოტიკური, ანუ მნიშვნელობაზე ორიენტირებული გაგება. რადგან შემსწავლელს პირდაპირი შეხება არ აქვს იმ უცხო ენის კულტურულ განზომილებებთან, ამიტომ სწავლება კულტურის მატერიალურ განზომილებებს ეყრდნობა. შემსწავლელს უნდა შეეძლოს განსხვავებული კულტურული მნიშვნელობის ერთმანეთთან შედარება, მიიღოს მონაწილეობა კულტურათა გაცვლის პროცესში. კულტურა არის ადამიანების მიერ შექმნილი წარმოდგენების, ღირებულებების და მნიშვნელობების მთელი კომპლექსი.

კულტურის მატერიალურ, მენტალურ და სოციალურ ასპექტებს შორის არსებობს სხვადასხვა კავშირი. კულტურის მატერიალური მხარის ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურა. მხატვრული ტექსტები ინტერკულტურული სწავლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ის ხელს უწყობს კულტურული კომპეტენციის განვითარებას და გადაამწყვეტი როლიც ენიჭება.

ტერმინ *კულტურას* მატერიალურ მხარესთან ერთად მენტალური და სოციალური მხარეებიც გააჩნია. სწავლებისას ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს კულტურის მენტალურ ასპექტებსა და სოციალურ განზომილებებზე.

უცხო კულტურის ცოდნას მიაკუთვნებენ: ფაქტობრივ ცოდნას უცხო ქვეყნის შესახებ და შესასწავლი ენის ქვეყნის ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტების ცოდნას; პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციებს; შესასწავლი ქვეყნის ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის ტენდენციების შესახებ ცოდნას; სოციოკულტურული ქმედების ცოდნას; შესასწავლი ენის კულტურული რიტუალების, ტრადიციების, საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმების ცოდნას; სტრატეგიულ ცოდნას, რომელიც ინტერკულტურული ურთიერთობების და შესაბამისი პროცესებისათვის არის საჭირო.

უცხო კულტურულ უნარ-ჩვევებში იგულისხმება ის, რომ ენის შემსწავლელს შეუძლია კომუნიკაციურ სიტუაციებში ადეკვატური ქცევა; შემსწავლელმა უნდა შეძლოს კომუნიკაციურ სიტუაციაში სწორი მეტყველების ჩამოყალიბება; კონფლიქტური სიტუაციების დაძლევა და გაუგებრობების თავიდან აცილება.

ინტერკულტურული სწავლების მთავარი მიზანია ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების ჩამოყალიბება შემსწავლელში. ინტერკულტურული სწავლება გულისხმობს შემსწავლელის ცოდნის გაფართოებას, როდესაც უცხო კულ-

ტურის შესახებ შექმნილი ცოდნა არსებულ კულტურულ გამოცდილებასა და კონცეფციებთან არის დაკავშირებული.

შემსწავლელი უნდა ადაპტირდეს კონკრეტულ კულტურულ სინამდვილესთან, რაც ხელს უწყობს შემსწავლელის იდენტობის განვითარებას.

მაღალი საერთაშორისო მობილობის და მოქალაქეთა ინტეგრაციის კონტექსტში, ახალ პოლიტიკურ კონფიგურაციაში, როგორცაა ევროკავშირი, ძირითადი განსახილველი თემა არის „კულტურათაშორისი მოქალაქეობა“, რომელიც ყურადღებას ამახვილებს უფრო მეტად კომპეტენციაზე, ვიდრე იდენტობაზე.

ინტერკულტურული კომპეტენცია შეიძლება განისაზღვროს როგორც „დამოკიდებულება“, „ინტერპრეტაციის უნარი“ და „ურთიერთმოქმედების უნარი“, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს ინტერკულტურული განათლების მიღებით. განათლების ეს სფერო ხშირად დაკავშირებულია ენის სწავლებასა და შესწავლასთან. ენის შესწავლა შეიძლება ჩაითვალოს „სოციალიზაციის“ ადგილად, რომელიც აერთიანებს იმ იდეას, რომ მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს შემსწავლელს გაიგოს ახალი ცნებები (რწმენა, ღირებულებები და ქცევა) ახალი ენის ათვისებით.

უცხოური ენის ათვისება არ არის საკმარისი ინტერკულტურული კომპეტენციის ჩამოსაყალიბებლად და პედაგოგს სჭირდება სპეციფიკური მეთოდოლოგია „კულტურაზე“, რომელიც განისაზღვრება რწმენის, ღირებულებების და ქცევის გაზიარებით „ეთნოლინგვისტური საზოგადოების“ დონეზე. შესაძლებლობების და კონტრასტული მიდგომების ფარგლებში შეიძლება მიზნის მიღწევა. ბაირამის (1) მიხედვით, ყველაზე უფრო მნიშველოვანი განსხვავება სამოქალაქო განათლებასა და განათლების ინტერკულტურული მოქალაქეობისთვის არის ცნობიერების ამადლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კონტრასტული მიდგომა არ არის სანდო. კონტრასტული კვლევა დაფუძნებული უნდა იყოს კარგად დამკვიდრებულ და მიუკერძოებელ მეთოდოლოგიაზე, რომელიც თავის მხრივ უნდა ეყრდნობოდეს კარგად ჩამოყალიბებულ და კონტექსტუალიზებულ კატეგორიებს. ინტერპრეტაციას წინ უნდა უძღოდეს კონკრეტული აღწერილობა. მითითებული უნდა იყოს, თუ რამდენად ზუსტად გამოიყენება კონსტრასტული ანალიზის შედეგები ინტერკულტურულ განათლებაში.

კროს-კულტურული დისკურსის ანალიზი შეიძლება ჩაითვალოს ლინგვისტიკის სფეროდ დისკურსის ანალიზის და ტექსტური ლინგვისტიკის ფონზე. ეს ეხება აღწერილობით და ინტერპრეტაციულ შედარებას დისკურსის ჟანრს (ტელევიზია, ახალი პროგრამები, ლიტერატურა, ინტერნეტი და სხვა) ორ ან მეტ განსხვავებულ ეთნოლინგვისტურ საზოგადოებაში.

ცნება „დისკურსის ჟანრი“ განსაკუთრებით საჭიროა კროს-კულტურულ მიდგომაში, რაც მიიღწევა შედეგებით ნაკლებად ჯგუფში, ვიდრე ეთნო-ლინგვისტურ საზოგადოებაში. ანალიზის მიხედვით მკვლევარი აჯამებს განსხვავებულ შედეგებს და ქმნის ჰიპოთეზას კულტურულ ელემენტებზე დაყრდნობით. თუმცა ამ დროს რელევანტურობა არ არის ნავარაუდევო კროს-კულტურული დისკურსის ანალიზის მიერ. შედეგები უნდა დადასტურდეს.

